# საქართველოს რესპუბლიკა

www.sakresp.ge







იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ტყუილობით და ქრთამით ბერ-თის გაცვანა ყველა უპატიოსნობაზე უსაძაგლესია.


სამშაბათი, 20 დეკემბერი. 2016 წ. №237 (8129), გამოცემის 98-ე წელი | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## პირველი სოლოკრატიული ბიუჯეტი ანტიქართულია!

SOS!




## ქართული ენის განვითარებისთვის ხელისუფლების ნულოვანი გამოხატულება!

(3)



**მიხეილ ჯიბუტი:**

**2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სსიპ – სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ასიგნების გრაფაში 2017 წლისთვის განსაზღვრული თანხა შეადგენს 0 ლარს!**

**0 ლარი სახელმწიფო ენის განვითარებისთვის არის ქართული სახელმწიფოსადმი ხელისუფლების ნულოვანი დამოკიდებულების გამოხატულება!**

## ვინ მიხედავს აფთიაქებს?



(11)

ხელისუფლება ლოდინის პოზიციაზეა



(4)

## ენგურჰესის დენი გაძვირდა, მაგრამ... ტარიფი არ შეიცვლება

## ბეისბოლი და სოფტბოლი საქართველოში



(9)

ბავშვობაში რიკტაფელას ვთამაშობდით...



(7)

## ახლოვთ რუსთაველი!..

## ანტუან დე სენტ-ეგზიუპერი

პატარა უფლისწული




(6)

## აჭარის უმაღლესმა საბჭომ მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცა

**აჭარის უმაღლესმა საბჭომ რეგიონის მინისტრთა კაბინეტი დაამტკიცა. კენჭისყრაში მონაწილეობა 14-მა დეპუტატმა მიიღო და აჭარის მთავრობის შემადგენლობას მხარი ყველამ დაუჭირა.** შემადგენლობაში ორი ახალი სახეა – განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი ინგა შამილიშვილი, და ჯანდაცვისა და სოციალურ საკითხთა მინისტრი ზაალ მიქელაძე.

## ქართული ციტრუსი ევროპასა და აზიაში

**მიმდინარე წელს საქართველოდან ციტრუსის ექსპორტი ტრადიციული ბაზრების გარდა ბალტიისპირეთისა და აზიის ქვეყნების მიმართულებითაც დაიწყო, რაც უკანასკნელი სამი ათეული წლის განმავლობაში არ განხორციელებულა, აღნიშნულის შესახებ განცხადებას აჭარის მთავრობის თავმჯდომარე ზურაბ პატარაძე აკეთებს.**

პატარაძის თქმით, დღეს რეგიონში მოქმედებს 40-მდე ციტრუსის მიმღები, დამხარისხებელი და შემფუთავი საწარმო, ასევე მოქმედებს სამაცივრე მეურნეობები. საჭირო დოკუმენტაციისა და ინფორმაციის მიღება დაინტერესებულ პირებს ერთი ფანჯრის პრინციპით შეუძლიათ.




## სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემა

2017 წელს აჭარაში ადგილობრივი წარმოების სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაციის ალტერნატიული სისტემა შეიქმნება. აჭარის მთავრობის თავმჯდომარის ზურაბ პატარაძის განმარტებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის რეალიზაცია და ფერმერების შემოსავლების ზრდა ერთ-ერთი უმთავრესი გამოწვევაა.

**„ყველა მუნიციპალიტეტში შეიქმნება სასოფლო-სამეურნეო გაერთიანებები, ე.წ ლოგისტიკური ცენტრები, რომლებიც აღიჭურვება შესაბამისი შენობა-ნაგებობებით და სამაცივრე მეურნეობებით. ცენტრები უზრუნველყოფენ პროდუქციის ტრანსპორტირებას, დახარისხებას, შენახვასა და სარეალიზაციო ქსელში მოხვედრას. შედეგად, ფერმერის შემოსავალი პირდაპირ იქნება მიბმული პროდუქციის საბოლოო სარეალიზაციო ფასთან, რაც მნიშვნელოვნად შეამცირებს საშუამავლო თუ სხვა ხარჯებს და გაზრდის ფერმერების შემოსავალს“,** – აცხადებს პატარაძე.

## მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორი

**აჭარა მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორის წარმოების პროგრამას მომავალ წელსაც გააგრძელებს.** როგორც აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ ზურაბ პატარაძემ აღნიშნა, გასულ წელს წარმატებით განხორციელდა მაღალპროდუქტიული ჯიშის ნიორის წარმოება, რომლის შედეგად ერთ ჰექტარზე ნაცვლად ტრადიციული 4-5 ტონის მოსავლიანობისა, მოწეული იქნა 11 ტონამდე ნიორი, რომელიც ექსპორტირებული იქნა ჰოლანდიაში, რუმინეთსა და უკრაინაში.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს შესაბამისი პროგრამის განხორციელება იგეგმება 2017 და შემდგომ წლებში.



# საქართველოს პრემიერ-მინისტრი ევრო-პარლამენტის დელეგაციის წევრებს შეხვდა

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი ევროპარლამენტის დელეგაციის წევრებს შეხვდა, რომლებიც თბილისს ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის მესამე სხდომის ფარგლებში სტუმრობენ. მხარეებმა საქართველოს ევროკავშირთან ასოცირების დღის წესრიგით განსაზღვრულ საკითხებზე და მომავალ სამოქმედო გეგმაზე იმსჯელეს. აღნიშნულ კონტექსტში ხაზი გაესვა ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტის როლსა და მის ფუნქციებს.**

შეხვედრაზე ითქვა, რომ საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა პირველი ვიზიტი სწორედ ბრიუსელში გამართა, რაც ადასტურებს საქართველოს მთავრობის ერთგულებას ქვეყნის ევროპული მისწრაფებებისადმი.

ყურადღება გამახვილდა ვიზალიბერალიზაციის პროცესში შეჩერების მექანიზმთან დაკავშირებით მიღწეულ პროგრესზე და გამოითქვა იმედი, რომ საქართველოსთან სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის შემდგომი საკანონმდებლო პროცედურები შეუფერხებლად გაგრძელდება და უახლოეს პერიოდში წარმატებით დასრულდება.

ევროპარლამენტარების მხრიდან აღინიშნა საქართველოს, როგორც „აღმოსავლეთ პარტნიორობის" ქვეყნებს შორის ლიდერის, როლი დემოკრატიული რეფორმების განხორციელების მხრივ, მათ შორის — გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კუთხით.

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ევროპარლამენტის წევრებს მადლობა გადაუხადა მხარდამჭერი რეზოლუციებისთვის და იმ თანამშრომლობისთვის, რასაც ევროპარლამენტი საქართველოს მიმართ იჩენს.

ევროკავშირ-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი ერთ-ერთია იმ ინსტიტუციური ჩარჩოდან, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება ადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშრომლობისთვის, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოქმედი ასოცირების საბჭოსა და ასოცირების კომიტეტებთან ერთად. ევროპარლამენტის დელეგაციას ბრიტანელი კონსერვატორი, საჯად კარიმი ხელმძღვანელობს.

# დავით ზალკალიანი: საქართველო სირიას თანაუგრძნობს...



საქართველო უერთდება გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს სირიის პრობლემატიკასთან დაკავშირებით — განაცხადა ჟურნალისტებთან საუბრისას საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილემ დავით ზალკალიანმა.

როგორც მან აღნიშნა, საქართველო არის საერთაშორისო თანამეგობრობის წევრი და ჩვენც ამ პროცესში ვუერთდებით გაეროს და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციებს.

**„სირიაში მიმდინარე პრობლემატიკასთან დაკავშირებით, საქართველო ჩართული იყო ყველა მიმდინარე დისკუსიაში. გამომდინარე იქიდან, რომ ჩვენ უშიშროების საბჭოს წევრები არ ვართ, ჩვენ მის მუშაობაში მონაწილეობა არ მიგვიღია. მაგრამ ყველა ინციატივები და რეზოლუციები იყო ჩვენს მიერ დასპონსორებული და ჩვენ ვართ შეერთებული ყველა რეზოლუციას, რაც სირიასთან მიმართებაში არის გაეროს ფარგლებში. გარდა ამისა, ადამიანის უფლებათა კომისიაში, რომლის წევრი ჩვენ 2016 წლიდან ვართ, აქტიურად ვიღებდით დისკუსიაში მონაწილეობას. ჩვენი წარმომადგენელი სიტყვითაც გამოვიდა და შეუერთდა საერთაშორისო საზოგადოების მოწოდებას, რომ დაუყოვნებლივ შეწყვეტილიყო ცეცხლი და საერთაშორისო თანამეგობრობას ჰქონოდა წვდომა ამ ტერიტორიებთან",** — აღნიშნა დავით ზალკალიანმა.

# თომას მელია: აშშ-ის დახმარება საგრძნობლად გაიზარდა



აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ადმინისტრატორის თანაშემწის თომას მელიას განცხადებით, სტრატეგიული პარტნიორობის კომისიის ხალხთა შორის პარნიორობისა და კულტურული გაცვლების სამუშაო ჯგუფის მეოთხე შეხვედრაზე ძალიან მნიშვნელოვანი საკითხები განიხილეს. **„შეხვედრაზე განვიხილეთ, თუ რამდენად ხელსაყრელი და სასარგებლოა სტრატეგიული პარტნიორობა ქართველებისთვის, განსაკუთრებით ისეთ სფეროებში, როგორიც არის განათლება და ჯანდაცვა. განსაკუთრებით ყურადღება მიექცა განათლების სფეროს და ეს იქნება ურთიერთობების საკმაოდ დიდი კომპონენტი",** — აღნიშნა მელიამ. მისივე თქმით, შეხვედრაზე ასევე განიხილეს, თუ როგორ შეიძლება ამ პროგრამებმა მოიცვას ის ხალხი, რომელიც ცხოვრობს აფხაზეთში და სამხრეთ ოსეთში, როგორ შეიძლება მათაც მიიღონ სარგებელი ამ შესაძლებლობიდან.

# ექსპორტზე რა ცოტა გაგვაქვს!..

## ქართული ექსპორტი და იმპორტი

**2016 წლის იანვარ-ნოემბერში, სასაქონლო ჯგუფებიდან, საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა, 285 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 15 პროცენტი შეადგინა.**

თხილის ექსპორტი 168 მლნ. აშშ დოლარს და შესაბამისად, მთლიანი ექსპორტის 9 პროცენტს უდრიდა. მესამე ადგილზე ფეროშენადნობების ჯგუფი იმყოფებოდა. ამ სასაქონლო ჯგუფის ექსპორტმა 154 მლნ. აშშ დოლარი და მთელი ექსპორტის 8 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2016 წლის იანვარ-ნოემბერში კვლავ სამკურნალო საშუალებები იყო, რომლის იმპორტმა 2641 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 30 პროცენტი შეადგინა. აქედან, C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი 2398 მლნ. აშშ დოლარია. მეორე ადგილზე იმყოფებოდა ნავთობის და ნავთობპროდუქტების სასაქონლო ჯგუფი 529 მლნ. აშშ დოლარით, რაც იმპორტის 6 პროცენტი იყო. მესამე ადგილზე მსუბუქი ავტომობილების სასაქონლო ჯგუფი დაფიქსირდა 414 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 5 პროცენტი).

## საგარეო სავაჭრო ბრუნვა ევროკავშირის ქვეყნებთან 11%-ით გაიზარდა

**2016 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვამ ევროკავშირის ქვეყნებთან 3086 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 11 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 513 მლნ. აშშ დოლარი იყო (14 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 2573 მლნ. აშშ დოლარი (17 პროცენტით მეტი).**

საქართველოს საგარეო სავაჭრო ბრუნვაში ამ ქვეყნების წილმა 28 პროცენტი შეადგინა, მათ შორის ექსპორტში 27 პროცენტი და იმპორტში 29 პროცენტი (2015 წლის იანვარ-ნოემბერში შესაბამისად 31, 30 და 32 პროცენტი). ევროკავშირის ქვეყნებზე მოდიოდა სავაჭრო დეფიციტის 29 პროცენტი (2015 წლის იანვარ-ნოემბერში 33 პროცენტი).

## საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი კანადაა

**2016 წლის იანვარ-ნოემბერში ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 68 პროცენტი შეადგინა. უმსხვილესი სა[...]ო პარტნიორებია კანადა (1831 მლნ. აშშ დოლარი), თურქეთი (1400 მლნ. აშშ დოლარი) და რუსეთი (781 მლნ. აშშ დოლარი).**




2016 წლის იანვარ-ნოემბერში საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 10830 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის მაჩვენებელზე 22 პროცენტით მეტია; აქედან ექსპორტი 1920 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (5 პროცენტით ნაკლები), ხოლო იმპორტი 8911 მლნ. აშშ დოლარს (29 პროცენტით მეტი). აღსანიშნავია, რომ განსახილველ პერიოდში განხორციელდა C ჰეპატიტის მედიკამენტების იმპორტი, რომლის გარეშეც იმპორტი შეადგენს 6513 მლნ. აშშ დოლარს (1 პროცენტით ნაკლები). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა 2016 წლის იანვარ-ნოემბერში 6991 მლნ. აშშ დოლარი და საგარეო სავაჭრო ბრუნვის 65 პროცენტი შეადგინა. ამავე პერიოდში ექსპორტმა რეექსპორტის გარეშე 1506 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 0,5 პროცენტით აღემატება წინა წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

◉ თემის გაგრძელება

# მართლაც მამულიშვილის გულისთქმა

## ეხმიანებიან ომარ მარგველაშვილის წერილს

**რომ იტყვიან, გულზე მომხვდაო, მართლა ისეთი წერილი წავიკითხე შაბათს, 17 დეკემბერს, თქვენი გაზეთის ფურცლებზე, რომლის ავტორია ეკონომიკის დოქტორი, პროფესორი ომარ მარგველაშვილი.**

8 ოქტომბრის არჩევნებმა სამართლიანად მოუტანა საკონსტიტუციო უმრავლესობა „ქართულ ოცნებას", რაც შესაძლებლობას აძლევს ამ პარტიას არ უმტყუნოს თავის ერთგულ ამომრჩეველს და ყველა დანაპირები, წელებზე ფეხის დადგმაც რომ დასჭირდეს, მაინც შეასრულოს.

ოპოზიცია, რასაკვირველია, იმის ოპოზიცაა, რომ ბევრ საკითხში მთავრობა უნდა აკრიტიკოს მიუკერძოებლად, საქმიანად, პრობლემების მოგვარების რეალური გზა უჩვენოს მთავრობას, რომელიც ყველა გადასაჭრელ საკითხს, ცხადია, შეუმცდარად ვერ ხედავს, რაც განსაკუთრებით ეხება ქვეყნის ეკონომიკას.

რაც შეეხება ყაირათიანობას ავტორი უთუოდ მართალია, რომ უნდა შეუწყდეს სახელმწიფო დაფინანსება პარლამენტის მიღმა დარჩენილ პარტიებს — შალიკო ნათელაშვილებს, მამუკა კაციტაძეებს, გიორგი ახვლედიანებს, ძმებ ბერძენიშვილებს და სხვებს... და ავტორის კითხვაც სწორია ამ პარტიების მიმართ: ან რა გაუკეთებიათ მათ ქვეყნისათვის სასიკეთო, იქნებ ვინმემ მითხრასო? ავტორი უთუოდ სწორად აყენებს საკითხს დეპუტატისთვის იმუნიტეტის მოხსნის თაობაზეც... მაგრამ მთლად არასწორი მგონია გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს ასე ხელაღებით გაუქმება. ცხადია, ამ შემთხვევაშიც ოპტიმიზაცია აჯობებდა.

აქვე უნდა გამოვთქვა ჩემი რამდენიმე შენიშვნაც. ნამდვილად უმადური და დაუნახავი უნდა იყოს ადამიანი, რომ ვერ დაინახოს ის დიდი მამულიშვილური ქველმოქმედება, რასაც ბიძინა ივანიშვილი ეწევა ჩვენი ქვეყნისა და ხალხის მიმართ. მაგრამ მე, როგორც უკვე ას წელიწადს მიღწეულმა ქართველმა კაცმა, მამაშვილურად უნდა ვურჩიო ბატონ ბიძინას, რომ, რასაკვირველია, ძალიან კარგია, შეკვეთილიც და ახალი ბაღი-პარკების გაშენების მიზნით უნიკალური ხეების გადარგვა-გადმორგვა, მაგრამ ხომ არ აჯობებდა, ჯერ ახალი საწარმოების აშენებაზე გვეფიქრა. თუნდაც პატარა ქარხნები და ფაბრიკები დიდ შვებას მისცემდა ჩვენს უმუშევარ ხალხს, ქვეყანასაც აუცილებლად მოაღონიერებდა.

რაც შეეხება ოპოზიციას, უთუოდ მართალია მოქალაქე ომარ მარგველაშვილი, რომ ოპოზიცია უსაგნოდ კი არ უნდა უდგეს ხელისუფლებას კრიჭაში, პირიქით, საქმიანად უნდა ამოუდგეს მხარში და ერთად გამოიყვანონ ქვეყანა დღეს არსებული ფინანსურ-ეკონომიკური კრიზისიდან.

ჩემი აზრით, არც ის უნდა იყოს სწორი, რომ ისეთ პატარა ქვეყანაში, როგორიც საქართველოა, პარლამენტში მაღალანაზღაურებადი 150 დეპუტატი გვყავს. აბა, გადახედეთ სხვა მრავალმილიონიან ქვეყნებს (300 და 400 მილიონიანს) ზოგან 350 დეპუტატი ჰყავთ, ზოგან 400. პროცენტულად ჩვენ ბევრად „მდიდრები" ვჩანვართ ამ თვალსაზრისით, რაც აშკარად სრულიად ზედმეტი ფუფუნებაა.

დროა, შევეშვათ უსაგნო ჩხუბსა და დავიდარაბას. პოზიციაც და ოპოზიციაც მხოლოდ ქვეყანაზე და ხალხზე უნდა ფიქრობდნენ. მარტო ხელისუფლებაში მოსვლისთვის ბრძოლა ნამდვილად სამარცხვინოა და ბოლოს და ბოლოს არც ხალხი გვაპატიებს წლების მანძილზე ცარიელ წყლის ნაყვას.

**აბელ გეგია,**

**იუსტიციის უფროსი მრჩეველი, იუსტიციის პოლკოვნიკი, სამართლის დოქტორი, პუბლიცისტი**

# ვაი, სირცხვილო!

**ვიდრე მთავარ სათქმელზე გადავიდოდე, გთხოვთ, გაეცნოთ საქართველოს მთავრობის ერთ რიგით განკარგულებას:**

**„საქართველოს მთავრობის განკარგულება №2563**
**2015 წლის 27 ნოემბერი**
**ქ. თბილისი**

სსიპ — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტისათვის“ ა(ა)იპ — „ორიჯინ- საქართველოს“ დაფუძნებაზე თანხმობის მიცემის შესახებ: „საჯარო სამართლის იურიდიული პირის — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის — „საქპატენტის“ დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2010 წლის 3 ივლისის №181 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, **მიეცეს თანხმობა სსიპ — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს — „საქპატენტს“, საკუთარი სახსრებით დააფუძნოს ა(ა)იპ — „ორიჯინ-საქართველო“ (ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ.).**

**პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი“**

https://matsne.gov.ge/ka/document/view/3071879

ახლა მოვიმარჯვოთ ლექსიკონი და გავარკვიოთ, რის დაფუძნებას დაეთანხმა საქართველოს მთავრობა?! **„ორიჯინ“** — ასეთი სიტყვა ქართულ სიტყვათა განმარტებით ლექსიკონში არ იძებნება. თუ დავუშვებთ, რომ ის სიტყვათა შერწყმითაა მიღებული, მაშინ გასაგები ხდება — საუბარია „ორი“ „ჯინ“-ის შესახებ. ასეთ შემთხვევაში მთლიანად დასახელება იწვევს დაბნეულობას. საიდანაა ეს „ორი ჯინი“ გამოშვებული და ის საქართველოს მნიშვნელობისაა, თუ საუბარია საქართველოში ორ ჯინზე?! იქნებ აქ საუბარია სულ სხვა ფაქტზე: საქართველოს ვიღაცის „ორი“ „ჯინი“ ჭირს?

<u>ამ გაუგებრობაში ოდნავ გარკვეულობა შეაქვს „საქპატენტის“ ვებ-გვერდზე მოცემულ ინფორმაციას, სადაც ვგებულობთ, რომ „საქპატენტმა და ღვინის ეროვნულმა სააგენტომ დააფუძნეს ა(ა)იპ „ორიჯინ-ჯორჯია“(ხაზგასმა ჩემია-მ.ჯ.), რომლის მიზანია</u> **<u>საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნების დაცვის სისტემის განვითარებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ქვეყანაში კონკურენტუნარიანი მაღალხარისხიანი პროდუქციის წარმოების ხელშეწყობა.“.</u>**

http://www.sakpatenti.org.ge/print.php?sec_id=17&lang_id=GEO&info_id=1128

ამ გარკვეულობამ ახალი და კიდევ მეტი გაურკვევლობა წარმოშვა: მთავრობის განკარგულებით უნდა შექმნილიყო ა(ა)იპ — „ორიჯინ-საქართველო“ და შეიქმნა ა(ა)იპ „ორიჯინ-ჯორჯია“?

აქ უკვე სახელმწიფო უწესრიგობა ჩანს!

უწესრიგობის კიდევ უფრო დიდი მაჩვენებელია ის, რომ მთავრობის განკარგულებით მიეცა თანხმობა **„სსიპ — საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრს — „საქპატენტს“, საკუთარი სახსრებით დააფუძნოს ა(ა)იპ — „ორიჯინ-საქართველო“,** მან კი სულ სხვა სახელით და ღვინის ეროვნულ სააგენტოსთან ერთად დააფუძნა **აა(ა)იპ „ორიჯინ-ჯორჯია“?!**

ფაქტობრივად, მთავრობის განკარგულება თავდაყირა „შესრულდა“, ანუ 100%-ით არ შესრულდა. განკარგულებით გამოტანილი ორივე გადაწყვეტილება დაირღვა.

რატომ დაიპარტნიორა საქპატენტმა ღვინის ეროვნული სააგენტო?!

<u>ცნობისთვის:</u> **<u>ღვინის ეროვნული სააგენტო საქართველოს სსიპ-ია: სოფლის მეურნეობის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია „ვაზისა და ღვინის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე.</u>**

http://georgianwine.gov.ge/geo/text/83/

აღნიშნული სააგენტო თავისთავად ერთ-ერთი მოწესრიგებული სახელმწიფო სტრუქტურაა დღევანდელ საქართველოში, მაგრამ რატომ მოხვდა ამ გაუგებრობაში? რატომ უნდა ხარჯოს მან საქპატენტის ფული? თუ იმიტომ, რომ ადგილწარმოშობის დასახელების გარკვევაა საჭირო ღვინოსთან დაკავშირებით, მაშინ ადგილწარმოშობის დასახელების საკითხები წყალთან, ყველთან, ჩურჩხელასთან დაკავშირებით უნდა გამხდარიყო მიზეზი წყლის, ყველის, ჩურჩხელის და ა.შ. ასოციაციების, სიპების, ორგანიზაციების თანადამფუძნეობისა.

ამ მიმართულებით მსჯელობას აღარ გავაღრმავებ (თუმცა, ეს საკითხი საერთოდ მისატოვებელი არ არის!), რადგანაც ის გვაშორებს მთავარ სათქმელს.

აღმოჩნდა, რომ აღნიშნული ახალი ა(ა)იპ-ის ნამდვილი სახელია „Origin — Georgia“, ყველა ზემოთ მოტანილი კი მისი ქართულად თარგმნის ნაყოფია: გრიგორი, „ონ ჟე“, გრიშა, „ონ ჟე“, გოშა-ს მსგავსად.

საქმე ყოფილა შემდეგში:

„Origin — Georgia“

ანუ Origin — წარმოშობა

Georgia — საქართველო



## ქართული ენის განვითარებისთვის ხელისუფლების ნულოვანი გამოხატულება!

**პირველი სოლოკრატიული ბიუჯეტი ანტიქართულია!**

**2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სსიპ — სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ასიგნების გრაფაში 2017 წლისთვის განსაზღვრული თანხა შეადგენს 0 ლარს!**

**0 ლარი სახელმწიფო ენის განვითარებისთვის არის ქართული სახელმწიფოსადმი ხელისუფლების ნულოვანი დამოკიდებულების გამოხატულება!**

კარგი საქმე — საქართველოში გეოგრაფიული აღნიშვნით პროდუქტების დაცვა — ადგილწარმოშობის დასახელების დადგენა — რატომ უნდა იქცეს საქართველოს იდენტობის გამსაზღვრელი დასახელების-საქართველოს — ქვეყნის სახელისა და მისი სახელმწიფო ენის — ქართულის დაკნინების საშუალებად?!

შეიძლება შემამსუბუქებელი მიზეზი (არა საპატიო!) იყოს ის, რომ მთავრობის ხსენებული განკარგულების მიღების დროს საქართველოს კანონი **„სახელმწიფო ენის შესახებ“** მართალია იყო მიღებული (მიღებულ იქნა 22.07.2015), მაგრამ ძალაში არ იყო შესული!

რა შეიცვალა 2016 წლის 1 იანვრიდან კანონის ძალაში შესვლის შემდეგ?

საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში ქართულისადმი და ქართველებისადმი ზემოთ მოტანილი დამოკიდებულება კიდევ უფრო განვითარებულია და **„ორიჯინ - საქართველო“** დასახელება ბრჭყალების გარეშეა მოტანილი.

ბიუჯეტის ქართველი მკითხველი მიხვდება, რომ ეს „ორიჯინი“ ვიღაც საპატივცემულო არსება ყოფილა, რომელსაც ქართველები ბიუჯეტიდან ფულს ვუხდით!

ზემოთ მოტანილი მსჯელობა იმ ჰიპოთეზის დასამტკიცებლად კი არ არის მოტანილი, რომ ხელისუფლება დანაშაულს ჩადის ქართული ენის (რადგან, ეს ენა კანონით სახელმწიფო ენაა, ამდენად ქართული სახელმწიფოს) წინაშე, არამედ, იმის საჩვენებლად, თუ რა შედეგი შეიძლება გამოიწვიოს ერთი არაქართული სიტყვის გამოყენებამ.

**ხოლო იმას, რომ საქართველოს ხელისუფლების ყველა შტო არის კანონის უზენაესობის პრინციპის დამრღვევი, ადასტურებენ ხელისუფლების ყველა იმ ინსტიტუტის წარმომადგენლები თავიანთი მონაწილეობითა და ხელმოწერით, ვინც მიიღო საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი.**

საქართველოს კანონით **„საქართველოს 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ (თავი VI. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები. მუხლი 15. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებები)** საბიუჯეტო კლასიფიკაციის 62 00 კოდით საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნების სუბიექტია **სსიპ — სახელმწიფო ენის დეპარტამენტი.**

**2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სსიპ — სახელმწიფო ენის დეპარტამენტის ასიგნების გრაფაში 2017 წლისთვის განსაზღვრული თანხა შეადგენს 0 ლარს!**

**0 ლარი სახელმწიფო ენის განვითარებისთვის არის ქართული სახელმწიფოსადმი ხელისუფლების ნულოვანი დამოკიდებულების გამოხატულება!**

(აღსანიშნავია, რომ ამ ფაქტს ყურადღება არ მიაქცია არა მარტო მმართველმა პარტიამ და მისმა დეპუტაციამ, არამედ არც ერთმა ოპოზიციურმა პარტიამ, თუ დეპუტატმა. ვითომ ვერ შეამჩნიეს?)

თუ ზემოთ ნათქვამს იმ ფაქტსაც დავუმატებთ, **რომ ხელისუფლება არღვევს კანონის უზენაესობის პრინციპს — დემოკრატიის ერთ-ერთ მთავარ საყრდენ პრინციპს იმით, რომ ჯიუტად არ ასრულებს საქართველოს კანონის — „სახელმწიფო ენის შესახებ“ მოთხოვნებს, შეიძლება ითქვას რომ ხელისუფლება ხდება ქარ**თული სახელმწიფოსთვის საფრთხის შემცველი!

შეგახსენებთ **„სახელმწიფო ენის შესახებ“** საქართველოს კანონის ზოგიერთ მოთხოვნას,რომელიც 2016 წელს უნდა შესრულებულიყო და არ შესრულებულა დღემდე. ეს მოთხოვნები (მუხლი 40) იყო:

1. 2016 წლის 1 თებერვლამდე:

ა) საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის — სახელმწიფო ენის დეპარტამენტის დებულება და სტრუქტურა, განსაზღვროს მისი ქონების შექმნის წესი;

ბ) საქართველოს პრემიერ-მინისტრმა თანამდებობაზე დანიშნოს სახელმწიფო ენის დეპარტამენტის თავმჯდომარე.

2. 2016 წლის 14 აპრილამდე საქართველოს მთავრობამ დაამტკიცოს:

ა) სახელმწიფო ენის ერთიანი პროგრამა;

ბ) ქართული სალიტერატურო ენის ნორმები და ტერმინოლოგიური სტანდარტები;

გ) სახელმწიფო ენის გამოცდის ჩატარების წესი.

3. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტის მომზადებისას უზრუნველყოს მასში ამ კანონიდან გამომდინარე საბიუჯეტო სახსრების ასახვა.“

<u>(2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტში შეტანილი იყო 600 ათასი ლარი, მაგრამ ის ამ კანონის მითითებული მოთხოვნების შესასრულებლად არ ყოფილა გამოყენებული).</u>

https://matsne.gov.ge/ka/document/view/2931198

**ყველაფერი ეს იმაზე მიუთითებს, რომ საქართველოში მმართველობის სოლოკრატიული მოდელი რეალობაში ქართული ენისა და ქართული სახელმწიფოს განვითარებით არ არის დაკავებული. თუ ეს მდგომარეობა დროში გაიჭიმა და სასწრაფოდ არ შეიტანეს ცვლილებები 2017 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის კანონში სახელმწიფო ენის — ქართული ენის მიერ ენისადმი დაკისრებული ფუნქციების შესასრულებლად, თუ ამას დაემატა ხელისუფლების მხრიდან მსგავსი შინაარსის ქმედებები, მაშინ შეიძლება სოლოკრატია ქართული სახელმწიფოებრიობის განვითარების საწინააღმდეგო სისტემად ჩამოყალიბდეს!**

იმედი ვიქონიოთ, რომ ეს ასე არ მოხდება!!!

**„აღდგომა და ხვალეო“ — ქართული ხალხური ანდაზაა.**

**ხალხური კია, მაგრამ ისიც ხომ ოდესღაც პირველად თქვა რომელიღაც ქართველმა?!**



**მიხეილ ჯიბუტი,**
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
პროფესორი, საქართველოს ეკონომიკურ
მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტი

# ენგურჰესის დენი გაძვირდა, მაგრამ... ტარიფი არ შეიცვლება



**საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ კომისიაში ჯერ კიდევ მსჯელობენ ელექტროენერგიის ტარიფთან დაკავშირებით. აქამდე ერთადერთი გადაწყვეტილება, რომელიც კომისიამ მიიღო, შპს „ენგურჰესისთვის“ წარმოების ტარიფის გაზრდას უკავშირდება.**

**აქამდე ენგურჰესის მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის ტარიფი 1 კვტ/საათზე 1,187 თეთრს შეადგენდა, ახლა კი იგი 1,496 თეთრით განისაზღვრა. შესაბამისად, ტარიფის ზრდამ 1 კვტ/სთ-ზე 0,3 თეთრი შეადგინა.**

როგორც სემეკში აღნიშნავენ, ახალი ტარიფი ძალაში 2017 წლის პირველი იანვრიდან შევა.

**„წარმოების ტარიფების ცვლილება სამომხმარებლო ტარიფებზე არ აისახება“,** — აღნიშნა ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის წევრმა გოჩა შონიამ.

წარმოების ტარიფების გადახედვა „ენგურჰესისთვის“ და „ვარდნილჰესისთვის“ 2006 წლის შემდეგ არ მომხდარა. რამდენად გაიზრდება სხვა კომპანიებისთვის განკუთვნილი ტარიფი, ეს ჯერჯერობით ცნობილი არ არის.

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრი კახა კალაძე აცხადებს, რომ „ენგურჰესსა“ და „ვარდნილჰესების“ კასკადზე ელექტროენეგიის წარმოების გაძვირება სამომხმარებლო ტარიფზე არ აისახება.

**„ჩვენთვის „ენგურჰესი“ არის ძალიან მნიშვნელოვანი ჰიდროელექტროსადგური, რადგან ამ სადგურის გამართული მუშაობა მთლიანად ენერგოსისტემისთვის არის მნიშვნელოვანი. გადაწყვეტილება, რომელიც მარეგულირებელმა კომისიამ მიიღო, არის პრინციპულად სწორი. ეს სამომხმარებლო ტარიფებზე არ აისახება. ჩვენ ასევე ვგეგმავთ მარტ-აპრილში გავაჩეროთ ეს ჰიდროელექტროსადგური, რადგან გარკვეული სარეაბილიტაციო სამუშაოების განხორციელების აუცილებლობაა“,** — აღნიშნა ენერგეტიკის მინისტრმა.

მისივე თქმით, ყველაფერი უნდა გაკეთდეს, რომ აფხაზეთის ტერიტორიაზე ელექტროენერგიის მოხმარება დარეგულირდეს. „გამრიცხველიანება აფხაზეთში ერთ-ერთი მნიშვნელოვანია, რათა მოხდეს აღრიცხვა ელექტროენერგიის მოხმარების, მოხდეს გადასახადების დაწესება, როგორც ეს ნორმალურად ხდება ნებისმიერ ენერგეტიკულ სექტორში. ამ მიმართულებით მუშაობა მოგვიწევს“,— განაცხადა კალაძემ.

სემეკისა და ენერგეტიკის სამინისტროს პოზიციას ტარიფების უცვლელობის შესახებ არ ეთანხმება ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის ყოფილი თავმჯდომარე **გურამ ჩალაგაშვილი.** იგი დარწმუნებულია, რომ საქართველოში ელექტროენერგიის ტარიფის გაზრდაა მოსალოდნელი, რადგან თუკი არ მოხდება ტარიფის ცვლილება, გახშირდება ელექტროენერგიის გათიშვის შემთხვევები.

**„ან ელექტროენერგია უნდა გაძვირდეს, რომ სისტემა არ დაინგრეს, ან უნდა გახშირდეს გრაფიკით გათიშვები. სოციალურ ქსელში ყოველდღიურად ამაზეა საუბარი, რომ ბევრგან ერთდროულად ხდება გათიშვა, შეუძლებელია, ეს ყველაფერი მხოლოდ ავარიებით იყოს გამოწვეული.**

**„ენერგო-პრო ჯორჯიას“ წარმომადგენელმა რამდენიმე დღის წინათ განაცხადა, რომ ისინი ვერ განახორციელებენ იმ ოდენობით ინვესტირებას, რაც სემეკისთვის წარდგენილ განაცხადში ჰქონდათ მითითებული. ზოგადად, თუ ჩვენ გვინდა, რომ სისტემა არ დაინგრეს, ტარიფი უნდა იყოს იმდენი, რამდენიც მისი შენარჩუნებისთვის არის საჭირო. ამისთვის მოსახლეობის შემოსავალიც ადეკვატური უნდა იყოს“,** — განაცხადა ჩალაგაშვილმა.

ჯერჯერობით ერთადერთი დადებითი მომენტი ისაა, რომ საქართველოს ენერგოსისტემაში ძვირი დენის წილი მცირდება, ხოლო ჰიდროელექტროსადგურების მიერ გამომუშავებული ელექტროენერგიის მოცულობა კი იზრდება. **საქართველოს ელექტროენერგეტიკული ბაზრის ოპერატორის (ესკო) მონაცემებით, 2016 წლის ოქტომბერში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, იმპორტი — 71%-ით, თბოსადგურების მიერ გამომუშავებული დენის წილი კი თითქმის 1%-ით შემცირდა. ჰიდროელექტროსადგურების დენის წილმა კი 71,9% შეადგინა და ის 2015 წლის ოქტომბერთან შედარებით, 15,7%-ით გაიზარდა.**

**ეს იმაზე მიუთითებს, რომ ქვეყანაში იაფი ელექტროენერგიის გამომუშავება იზრდება და შესაბამისად, ენერგოსადისტრიბუციო კომპანიები ტარიფის ზრდასაც ვერ მოითხოვენ.**

**ბექა დანელია**



## მერიას ტარიფზე ზემოქმედების ბერკეტი არა აქვს

დედაქალაქის მერის მოადგილე აცხადებს, რომ მეტროსა და ავტობუსების ტარიფები არ გაიზრდება, ხოლო სამარშრუტო ტაქსებს კერძო ოპერატორი მართავს და ტარიფის ცვლილებასთან დაკავშირებით, მერიას ბერკეტები არა აქვს.

**„რაც შეეხება სამარშრუტო ტაქსებს, მას მართავს კერძო ოპერატორი, რომელსაც იმ ხელშეკრულების მიხედვით, რომელიც არის გაფორმებული მერიასთან 2010 წელს. არანაირი ბერკეტი არა აქვს მერიას, რომ ტარიფზე ზემოქმედება მოახდინოს და ეს ტარიფი არ არის რეგულირებადი. ჩვენ მოვუწოდებთ სამარშუტო ტაქსების მმართველ კომპანიას, რომ თბილისელებისთვის არ მოახდინოს ტარიფების გაძვირება“,** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

მისივე თქმით, საწვავზე აქციზის ზრდა ბუნებრივია, ნიშნავს იმას, რომ საწვავზე ფასები გაიზრდება.

**„მუნიციპალურ ტრანსპორტზე, ავტობუსებზე და მეტროზე ტარიფის გაზრდას არ განვიხილავთ. ამ ეტაპზე საკმაოდ სოლიდური სუბსიდიაა თბილისის მერიიდან გამოყოფილი ტრანსპორტის მიმართულებით. ეს არის 60 მილიონ ლარზე მეტი თუ გახდება საჭიროება ბუნებრივია, მერია იზრუნებს გაზრდაზე“,** — განაცხადა ირაკლი ლექვინაძემ.

**მცირე მეწარმეობა**

## პრობლემების „თაიგული“

**ერთობ პარადოქსული რამ მოხდა ცოტა ხნის წინათ: საერთაშორისო სავალუტო ფონდმა ძალიან მოკლე ვადაში მომავალი წლის საქართველოს ეკონომიკური განვითარების ტემპის მაჩვენებელი ჯერ გაზარდა, შემდგომ კი, მისი მისიის თბილისში ვიზიტის შედეგად, ასევე მყისიერად შეამცირა იგი. რამდენად რეალური იყო ან ერთი მაჩვენებელი, ან მეორე, ამას, ცხადია, მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ ერთი რამ ამთავითვეა ცნობილი. რამდენიც გინდა, გეგმა დასახოს ახალმა მთავრობამ ლარის კატასტროფიული გაუფასურების შესაჩერებლად, ეკონომიკის რეალური და არა, ასე ვთქვათ, „დეკორატიული“ სექტორის განსავითარებლად, მცირე და საშუალო ბიზნესის მომძლავრების გარეშე ეროვნული ეკონომიკის ზრდა ისევ მიუწვდომელ მიზნად დარჩება.**

თუ რა მნიშვნელობა აქვს ნებისმიერი, რაგინდ მძლავრი ქვეყნის ეკონომიკური განვითარებისთვის მცირე და საშუალო ბიზნესს, ამის თაობაზე საუბარი არაერთგზის გვქონია, თუმცა კი, როგორც ჩანს, ეს ლაპარაკი ლაპარაკად რჩება, საქმე კი, არსებითად, ადგილიდან არ იძვრის. მცირე ბიზნესის განვითარების სტრატეგია საქართველოს მთავრობამ წლეულს გაზაფხულზე შეიმუშავა, თუმცა, საკითხის უაღრესი მნიშვნელობის მიუხედავად, წინსვლა ამ მიმართულებით, განსაკუთრებით კი ქვეყნის მხარეებში, ძალიან ნაკლებადაა შესამჩნევი. არადა ევროპა, რომლისკენ ასე გულწრფელად მივილტვით და რომელზეც ერთგვარ „სწორდის“ ვაკეთებთ, არსებითად, მცირე და საშუალო ბიზნესის სიმაგრითაა წელგამართული. სტატისტიკა მოწმობს: **განვითარებულ (მათ შორის, ცხადია, ევროკავშირის) ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები სამეწარმეო სექტორში პროდუქციის ნახევარზე გაცილებით მეტს ჰქმნის, თანაც დასაქმების მხრივ ეს დონე კიდევ უფრო მაღალია — სამიდან ყოველი ორი სამუშაო ადგილი კერძო ბიზნესის მცირე და საშუალო სექტორშია!**

თუ როგორია საქართველოს ეკონომიკაში მცირე და საშუალო საწარმოთა მთლიანი წილი, ამას რამდენიმე სტატისტიკური მონაცემიც თვალნათლივ წარმოაჩენს, რის წყალობით ჩვენებური „ბიზნესის პორტრეტი“ „ევროპულისგან“ აბსოლუტურად განსხვავებულია. **ბოლო ათი წლის მანძილზე საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა მიერ შექმნილი დამატებული ღირებულების გადასახადმა, საშუალოდ, მისი მთლიანი ოდენობის 20 პროცენტს არ გადააჭარბა, თანაც ამ მცირე მაჩვენებლის ლომის წილი (70 პროცენტზე მეტი) თბილისში განთავსებულ კომპანიებზე მოდის. მეტად საგულისხმოა მცირე და საშუალო ბიზნესთან დაკავშირებული კიდევ ერთი პარამეტრი: იმ პირობებში, როცა ქვეყნის ტერიტორიაზე მოქმედი ყოველი ათი საწარმოდან ცხრა (!) მცირეთა რიცხვს განეკუთვნება, იქ დასაქმებულთა მთელი ოდენობის მხოლოდ 45 პროცენტი მუშაკია დაკავებული. ამ 45 პროცენტის ნახევარზე მეტი კი (კერძოდ, 63 პროცენტი) თბილისში მოქმედ საწარმოებში მუშაობს (!).** ეს კი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, იმას ნიშნავს, რომ ისევე როგორც მოსახლეობის თავმოყრის მხრივ, ასევე სამეწარმეო ძალების კონცენტრაციით, თბილისი ამაშიც უშნო „თავკომბალას“ ჰგავს.



მცირე და საშუალო ბიზნესის განუვითარებლობის ზემოაღნიშნულ ნიშნებთან ერთად, ეკონომიკური განვითარების **ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ხელისშემშლელი პირობა, ექსპერტთა აზრით, მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა ჩრდილოვან, არაფორმალურ სექტორში ყოფნაა, რაც განსაკუთრებით მხარეებშია თვალში საცემი. ეს კი, თავის მხრივ, იმითაა განპირობებული, რომ ამით განსაკუთრებით სოფლის მეურნეობაა გამორჩეული.**

რა გეზით წარიმართება უახლოეს მომავალში ქვეყნის ეკონომიკური წინსვლისთვის უმნიშვნელოვანესი მცირე და საშუალო ბიზნესის სექტორის განვითარება ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების ახალი მინისტრის გიორგი გახარიას „კაპიტნობის“ დროს, ჯერჯერობით ძნელი განსაჭვრეტია. თუმცა კი მისი ნაკლოვანებები, საექსპერტო შეფასებებით, დიდი ხანია, კარგადაა ცნობილი. ესენია, კერძოდ, **მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოთა დაბალი პროდუქტიულობა, პროდუქციის მცირე კონკურენტუნარიანობა, დაბალპროცენტიან საბანკო რესურსებზე შეზღუდული წვდომა, არადამაკმაყოფილებელი სამეწარმეო კულტურა და მცირე გამოცდილება, მოძველებული აღჭურვილობა და თანამედროვე ტექნოლოგიების სიმწირე, ადამიანურ კაპიტალთან დაკავშირებული პრობლემები, უცხოეთის ბაზრებზე შეღწევის მწირი შესაძლებლობები, პროფესიული საკონსულტაციო მომსახურების სიძვირე და სხვა.**

ეს, ასე ვთქვათ, ზოგადად, თორემ ყველა დარგში პრობლემების საკუთარი, სპეციფიკური „თაიგულია“, რომლებსაც „ცალკეულ ყვავილებად“ დაშლა და ისე მოვლა სჭირდება.

**ნინო ალექსანდრია**

**ა. წ. 14 დეკემბერს გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ გამოქვეყნებულმა არჩილ მურღულიას წერილმა: „დაგვიანებული მადლობა ოთარ ფაცაციას“, გამახსენდა ჩემი ახალგაზრდობის დროინდელი ერთი ამბავი, როცა ამ მართლაც დიდზე დიდმა ვაჟკაცმა ოთარ ფაცაციამ, ციხეს გადამარჩინა ისე, რომ კარგად არც მიცნობდა.**





# ციხეს გადამარჩინა...

ეს იყო 1969 წელს. საკავშირო მთავრობის დადგენილებით ზუგდიდის ქაღალდის კომბინატის რეკონსტრუქცია-განახლება მიმდინარეობდა. კომბინატის დირექტორი მაშინ ბატონი ოთარი იყო. როგორც იტყვიან, ღმერთივით კაცი იყო. შეხედავდი მის გაშლილ, ლამაზ, სწორ სახე-ტანს და გესიამოვნებდა მასთან საუბარი და მსჯელობა.

მაშინდელი თბილისის მექანიზაციის ტრესტიდან მივლინებით გაგვიშვეს მექანიზირებული ბრიგადა (სამუშაოთა მწარმოებელი მე გახლდით). სოფელ აბასთუმანში, ენგურის პირას, გამწმენდი ნაგებობისთვის დიდი მოცულობის მიწის სამუშაოები უნდა შეგვესრულებინა, რათა განახლებული ზუგდიდის ქაღალდის კომბინატიდან მდ. ენგურში ეკოლოგიურად სუფთა წყალი ჩასულიყო.

ვმუშაობდით და ვცხოვრობდით სოფ. აბასთუმანში საველე ვაგონებში. ერთ ღამესაც, ასე პირველ საათზე, თავზე დაგვადგნენ, გაგვაღვიძეს ადგილობრივმა კრიმინალებმა. ვაგონში მხოლოდ მე და მებულდოზერე ვიყავით. მასთან ერთად უკრაინელი ქალი ცხოვრობდა, რომელიც საჭმელს გვიკეთებდა, გვირეცხავდა. გინდა თუ არა, ეს ქალი უნდა წავიყვანოთო. აბა, როგორ გავატანდი შუა ღამისას, თანაც მთვრალებს, უცნობებს ამ ისედაც ბედისგან დაჩაგრულ ქალს, თითქმის ერთი საათი ვეხვეწებოდით, ბიჭებო, გენაცვალეთ, ახლა არა და ხვალ დღისით მოდით და ისე გადავწყვიტოთ-მეთქი. ბოლოს დანა გახსნეს... და იძულებული გავხდი, მეც გამენძრია ხელი. მებულდოზერე გურამაც მომეხმარა და... ერთი გაიქცა, ორი კი ფიზიკურად მძიმე დაზიანებით მიწაზე ეყარა უგონოდ. დანარჩენ მექანიზატორებს გავაგებინეთ ეს ამბავი და გამოვიქეცით (რატომღაც გვეგონა რომ მკვიდრები იყვნენ). რკინგზის ენგურის სადგურზე მილიციამ დაგვაპატიმრა, რადგან ხელზე დანისგან მიყენებული დიდი ჭრილობა მქონდა და სისხლს ვერ ვაკავებდი. მეორე დღეს სამმართველოს უფროსმა უპატიოსნესმა ანტონ ნარსიამ თავდებით გამოგვიშვა, ჩვენ თბილისში გამოვიქეცით, რადგან გავიგეთ, რომ იმათგან ორი ცნობილი კრიმინალი იყო და ასე ადვილად ვერ გადავრჩებოდით.

იმ დროს მშენებლობის მინისტრი გიორგი ვაშაკიძე იყო. მიმიყვანეს მასთან, ავუხსენი ყველაფერი. მან დაურეკა მაშინდელ შინაგან საქმეთა მინისტრს ედუარდ შევარდნაძეს. მოითათბირეს: უნდა ჩავსულიყავით და გაგვეგრძელებინა მუშაობა. არც ერთი მექანიზატორები აღარ წამოვიდა. ახალი ბრიგადა შევკრიბე და მეც მათთან ერთად დავბრუნდი. გადაგვიყვანეს ქალაქში, მოგვამაგრეს ავტობუსი და მილიცია, რომელიც გვაცილებდა და გვიცავდა. 8 თვის განმავლობაში ასეთ პირობებში მიხდებოდა მუშაობა: მილიციის გარეშე ქუჩაში ვერ გავდიოდი, არა და ყოველთვის მილიციას ხომ არ შევაწუხებდი. მექანიზატორები ჩემთან შედარებით უპრობლემოდ იყვნენ. მათ არ იცნობდნენ, მე კი ყველა მიცნობდა.

ამასობაში ჩემი ჯარის ამხანაგები (ზუგდიდელები) აწარმოებდნენ მოლაპარაკებას იმ ხალხის წარმომადგენლებთან, შერიგება გამორიცხული იყო. საქმე ისე მიდიოდა, რომ ჩემი გულისთვის ჩემი მეგობარი ომარ ზარქუა, რომელსაც ზუგდიდში არა ნაკლებ ავტორიტეტი ჰქონდა, აშკარად დაუპირისპირდა მათ. სხვა გზა არ იყო, მე უნდა წამოვსულიყავი, რათა ჩემს გამო სხვა არ გახვეულიყო შარში, ამას ემატებოდა მუშაობის ის პირობები, რომელიც ზემოთ მოგახსენეთ (მილიციის თანხლებით) და მივიღე გადაწყვეტილება, სამუშაოები ჩამებარებინა. დამთავრებული არ გვქონდა და როგორ? აი, მაშინ შევცოდე, მოვიტყუე, მოვატყუე იმ ხალხს, ვინც მენდობოდა. წინა ამბავი ასე დაწვრილებით იმიტომ მოყევი, რომ ამეხსნა, რამ მაიძულა, მომეტყუებინა ის ხალხი, ვინც მენდობოდა:

გეოდეზიურ ინსტრუმენტებზე მუშაობა კარგად ვიცოდი და ვიცი ეხლაც. მოვიხმარე ერთი მუშა და წინასწარ გავზომე გაკეთებული სამუშაოები, დავიმახსოვრე წერტილები. ჩავინიშნე ნიშნულები.

იმავე დღეს მივედი სამმართველოში და განვუცხადე, მე მგონი მუშაობა დავამთავრე, მე კარგად არ ვიცი ნიშნულების აღება და თქვენი წარმომადგენელი წამოვიდეს, იმან გასინჯოს-მეთქი, გამომაყოლეს უბნის უფროსი, გადასარევი ინჟინერი (მცოდნე და თავდაბალი ჟანი თურქია) ის ინსტრუმენტთან დადგა, მე კი „რეიკა“ დავიჭირე. ინტრუმენტიდან არ ჩანს, „რეიკას“ წინ თუ უკან გადახრი. აი, გვერდზე გადახრა კი ჩანს. წინა დღეს ჩემს მიერ მონიშნულ წერტილებში დავდგებოდი, რეიკას ფეხებს შორის მოვაცურებდი, წინ გადავხრიდი და ასე შემდეგ. ბატონი ჟანი იღებდა ნიშნულებს, ბოლოს, სულ პატარა ცდომილება იყო, მარა ეს არაფერიაო. შესრულებული სამუშაოების აქტი მეორე დღეს ხელმოწერილი დამახვედრეს. მექანიზმები იმ ღამესვე ჩავიტანე სადგურ ინგირზე, ჩავტვირთეთ და მშვიდობით წამოვედით.

გავიდა სამი თვე, ფული გადმოგვირიცხეს, ჩემი უფროსებისგან მადლობა მივიღე და დამაწინაურეს კიდეც, უბნის უფროსად გადამიყვანეს.

რა თქმა უნდა, ჩვენს შემდეგ, ჩქარი ტემპით დაიწყეს სამშენებლო სამუშაოები. ჰოდა მოხდა საოცრება, ჩვენს შესრულებულ სამუშაოებს რომ მიუახლოვდნენ, ტერიტორიამ გასაწმენდი წყალი ვერ მიიღო. შეამოწმეს, შეადარეს ბატონ ჟანი თურქიას და ჩემს მიერ გადაღებულ ნიშნულებს და რა თქმა უნდა, იპოვეს ცდომილება. იანგარიშეს და გამოვიდა 50 000 მანეთის ზედმეტობა, ჩამოვიდნენ თბილისში, მომაკითხეს სამსახურში, მოითხოვეს ფულის უკან დაბრუნება ან ჩასვლა და სამუშაოების დამთავრება. ბუნებრივია, სამი თვის შემდეგ ვერც ერთ პირობას ვერ შევასრულებდით. რჩებოდა ერთი გზა — ჩემი პასუხისგებაში მიცემა. იმ დროს 50 000 მანეთი დიდ თანხას წარმოადგენდა, მე პირდაპირ ვუთხარი, „რეიკა“ მე მეჭირა, მე შევიყვანე ბატონი ჟანი შეცდომაში-მეთქი. დავრჩი თბილისში შიშით და კანკალით. ოჯახური პრობლემაც მქონდა. და საშინელ მდგომარეობაში ვიყავი.

ჩემმა უფროსმა სასწრაფოდ მიიღო საჭირო ზომები: ათისთავად ჩამომაქვეითა, ხოლო ობიექტები დამიტოვა.

დავდივარ სამსახურში და აღარ მაქვს მუშაობის ხალისი. ვფიქრობ ციხეზე, ჩემს იმ დროს ძალიან გაჭირვებულ ოჯახზე, საშინელება, იყო. ვისაც გახსოვთ შევარდნაძის მოსვლა შსს-ში.

გლდანის მშენებლობა ახალი დაწყებული იყო, საინჟინრო კომუნიკაციები გაჰყავდათ, გავხედე და ზუგდიდელი სამუშაოთა მწარმოებელი არ დავინახე, თბილისში გადმოვედი, გუგუციძესთანო (ტრესტის მმართველი იყო). საღამოს გავუარე, გლდანში ხინკალზე დავპატიჟე, სხვათა შორის, ზუგდიდში კაცი სულ სტუმარი იყო. რამდენჯერაც მე დავპატიჟებდი, იმდენჯერ სულ თვითონ იხდიდნენ. ერთს ეტყოდნენ „თე კოჩი სტუმარიიეო“ და მორჩენილი იყო საქმე, ჩემგან ფულს არ აიღებდნენ. იმ დღეს კი წინასწარ გადავიხადე, აქ თბილისშიც არ შემარცხვინოს-მეთქი და დავუჯექით. სუფრაზე სინანული გამოვთქვი, ის წესიერი კაცი, ბატონი ჟანი თურქია რა უხერხულობაში ჩავაყენე, რა მექნა, მეტი გზა არ მქონდა, ახლა კი ველოდები როდის გამომიძახებენ პროკურატურაში-მეთქი და მოვაყოლე ჩემი ოჯახის წუხილი. გადაიხარხარა, შენ ჭურში ხომ არ ზიხარო და მიამბო: ეგ ამბავი ოთარ ფაცაციას მოახსენეს, „უნდა ვუჩივლოთ მექანიზაციის სამმართველოსო“. იმას კი გაუცინია, მეგრელები იმ ხევსურმა როგორ მოგატყუათო“ (ხევსურს მეძახდნენ ზუგდიდში).

დაუვალებია პროექტის გადაკეთება, კაცი გაუგზავნია კიევში (პროექტი კიევის საპროექტო ინსტიტუტის მიერ იყო გაკეთებული, მერე საკავშირო სამინისტროს მოსკოვში დამატებით, თუ არ ვცდები, 500 000 მანეთი გამოაყოფინა და ასე გააგრძელებინა იმ გამწმენდი ნაგებობის სამუშაოები (სხვათა შორის, ეს ამბავი ჩემს უფროსს სცოდნია და არ მეუბნებოდა).

ბატონი არჩილ მურღულია რომ წერს, დიდი ავტორიტეტი ჰქონდა ბატონ ოთარ ფაცაციასო, ჭეშმარიტებაა! უფალს შევთხოვ მის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს, მე თქვენ სადღეგრძელოს ვსვამ ხოლმე, ბატონო ოთარ, როგორც კაცობის და პატიოსნების სიმბოლოსას.

მე რომ მაშინ ციხეში მოვხვედრილიყავი, ვინ იცის, როგორ წარიმართებოდა ჩემი ცხოვრება.

ნეტავ საქართველოში რამდენია თქვენი სწორი და ტოლი — ღმერთმა ამრავლოს ისინი.

**სიყვარულით და დიდი პატივისცემით**

**ვაჟა ბექაური.**
**მშენებელი ინჟინერი**

**P. S. მეორედ თბილისში შევხვდით. 90-იანი წლების არეულობანი ყველას გახსოვთ, იმ დროს თურქმენეთში სამშენებლო სამუშაოებს ვაწარმოებდი. ბოლოს, მეოთხე წელს თურქმენებმა შესრულებული სამუშაოების ღირებულება აღარ გადამიხადეს — „საქართველოს ჩვენი მიწოდებული გაზის ვალი აქვს და იმ ვალში საქართველოს მთავრობამ გადაგიხადოსო. სატელეფონო საუბრებით შეთანხმების შემდეგ ჩამოვედი თბილისში. ბატონი ოთარი პრემიერ-მინისტრი ბრძანდებოდა. შევედი. მიცნო, გავახსენდი. ჩემი გასაჭირი მოვახსენე, თურქმენეთიდან ჩემი მუშები, ასთერთმეტი კაცი ველარ მომყავს უფულობის გამო-მეთქი. იქვე სთხოვა შესაბამისი სამსახურის მინისტრებს, რომ აღმოეჩინათ ჩემთვის დახმარება.**

**ყველას გახსოვთ, რა დრო იყო მაშინ, ყველას წილში ჩაჯდომა უნდოდა, ვერ ვარწმუნებდი, რომ ნამდვილი შრომით მქონდა მისაღები აღნიშნული თანხა. ეჭვი ეპარებოდათ ბატონ ოთარის კომპეტენტურობაში, არ იცოდნენ, რა კაციც ეჯდათ თბილისში პრემიერ-მინისტრად!**

**ვ. ბ.**

## ჟურნალისტის ცემის ფაქტზე გამოძიება დაიწყო

**„2016 წლის 19 დეკემბერს, შ.ს. ბორჯომის რაიონულ სამმართველოში, სსიპ 112-დან მიღებული შეტყობინების საფუძველზე დაიწყო გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილით. საქმეზე მოწმის სახით გამოკითხულმა ტელეკომპანია „იბერიას“ ჟურნალისტმა გიორგი გასვიანმა განმარტა, რომ მის მიმართ განხორციელებულ ძალადობაში მონაწილეობდნენ პოლიციის თანამშრომლები. აღნიშნული გარემოების გამოვლენისთანავე საქმე შემდგომი გამოძიების მიზნით გადაეცა სამცხე-ჯავახეთის საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს და საქმის კვალიფიკაციას დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტი.**

**ამჟამად საქმეზე მიმდინარეობს საპროცესო და საგამოძიებო მოქმედებები, იკითხებიან მოწმეები, მიმდინარეობს შემთხვევის ადგილის დათვალიერება, დანიშნულია და ტარდება სასამართლო-სამედიცინო ექსპერტიზა. გამოძიების შედეგების შესახებ ეცნობება საზოგადოებას“,** — ნათქვამია პროკურატურის განცხადებაში.

* * *

**საქართველოს შს მინისტრი გიორგი მღებრიშვილი „იბერიის“ ჟურნალისტ გიორგი გასვიანის ცემის ფაქტს გამოეხმაურა და განაცხადა, რომ ადამიანს, რომელიც თავად უნდა იცავდეს წესრიგს და არღვევს კანონს, კანონი უმკაცრესად დასჯის.**

მისი თქმით, თუ დადასტურდა ჟურნალისტის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, პოლიციელი, რომელმაც აღნიშნული ქმედება ჩაიდინა, შინაგან საქმეთა ორგანოებიდან გათავისუფლდება და მის წინააღმდეგ ყველაზე მკაცრი სანქციები იქნება გამოყენებული.

**„როდესაც ის ადამიანი არღვევს კანონს, რომელიც თავად უნდა იცავდეს წესრიგს და სხვებს უნდა მოუწოდებდეს წესრიგისკენ, ამ შემთხვევაში მას კანონი უმკაცრესად დასჯის. მე მას არავითარ შემთხვევაში არ გადავეფარები. თუ თქვენ გადახედავთ ჩემს ე.წ. ბეგრაუნდს, ვერავინ მეტყვის, რომ მე ოდესმე ჩემს რომელიმე თანამშრომელს სუბიექტურად გადავეფარე და ხელი შევუწყვე მის მიერ ჩადენილი დანაშაულის მიჩქმალვაში“,** — განაცხადა მღებრიშვილმა.

## 2016 წელს პროფესიული მოვალეობის შესრულებისას 74 ჟურნალისტი დაიღუპა

ორგანიზაცია „რეპორტიორები საზღვრებს გარეშე“ აღნიშნავს, რომ 2015 წელს 101 ჟურნალისტი დაიღუპა.

**2016 წელს ყველაზე მეტი — 19 ჟურნალისტი სირიაში მოკლეს, ავღანეთში — 10, მექსიკაში — 9, ერაყში — 7 და იემენში — 5. ამავე ორგანიზაციის ანგარიშის მიხედვით, 2016 წელს მსოფლიოში 348 ჟურნალისტი დააკავეს, რაც გასულ წელთან შედარებით, 6%-ით გაზრდილი მაჩვენებელია. მხოლოდ თურქეთში, დაკავებული ჟურნალისტების რაოდენობა წელს 22%-ით არის გაზრდილი.**



ანტუან დე სენტ-ეკზიუპერი

# პატარა უფლისწული

ზღაპარი

ავტორის ნახატებით

ფრანგული ტექსტი ქართულად გადმოაენა გურამ გოგიაშვილმა




## XX

დიდხანს მიუყვებოდა პატარა უფლისწული ქვიშიან ადგილებს, კლდეებსა და თოვლს და, ბოლოს, გავიდა გზაზე. ყველა გზას კი ადამიანებისკენ მივყავართ.

— დღე მშვიდობისა, — თქვა მან.

პატარა უფლისწული ზედ ვარდის ბაღს იყო მიმდგარი.

— დღე მშვიდობისა, — გამოეხმაურნენ ვარდები.

და პატარა უფლისწულმა დაინახა, რომ სუყველა ის ვარდი იმის ყვავილსა ჰგავდა.

— ვინა ხართ? — იკითხა შეცბუნებულმა.

— ვინა ვართ და ვარდები ვართ, — უპასუხეს ვარდებმა.

— უყურეთ ერთი! — ჩაილაპარაკა პატარა უფლისწულმა.

და თავი ძალიან უბედურად იგრძნო. თავისი მზეთუნახავი ეკეკლუცებოდა, ჩემისთანას მთელ სამყაროში ტყუილად დაუწყებ ძებნასო. და აგერ ახლა იმის თვალწინ ხუთი ათასი ვარდი გაფურჩქნილიყო მხოლოდ ერთ ბაღში!

„ალბათ, დასაბმელი გახდებოდა, ისე გაბრაზდებოდა, ესენი რომ ენახა! — გაიფიქრა პატარა უფლისწულმა, — უმალ საშინელი ხველა აუტყდებოდა და თავსაც ისე მოიკატუნებდა, ვკვდებიო, ოღონდაც სასაცილო არ გამოჩენილიყო. მე კი სხვა რა უნდა მექნა, უნდა ავმდგარიყავი და თავმოავადმყოფებულისთვის მომევლო, თორემ მართლა მოკვდებოდა, რა არი მეც დავემცირებინე და დავეკნინებინე...“



შემდეგ ახლა ახალი ფიქრი მოეძალა: „ვაი, რა ტყუილად მგონებია, რომ მთელ მსოფლიოში ერთადერთი ისეთი ყვავილის მფლობელი ვიყავი, რომლისნაირს არც არავინ ახარებდა და არც კიდევ სადმე ხარობდა. არადა ერთი ყველაზე ჩვეულებრივი ვარდი ყოფილა. მთელ ჩემს საბადებელს თურმე შეადგენდა ერთი უბრალო ვარდი და კიდევ სულ სამი ვულკანი, რომლებიც მუხლებამდე ძლივს მწვდებიან. თანაც ერთ-ერთი ჩამქრალია, და, ვინ იცის, იქნებ სამუდამოდაც... აბა, ამის მერე, მე რა უფლისწული ვარ...“

და გულაჩუყებული იქვე ბალახში ჩაემხო და აქვითინდა.



## XXI

სად იყო, სად არა, ზედდატანებაზე მელიაც გამოჩნდა.

— გამარჯობა შენი, — თქვა მან.

— გაგიმარჯოს, — თავაზიანად უპასუხა პატარა უფლისწულმა და გაიხედ-გამოიხედა, მაგრამ ვერცვის თვალი ვერ მოატანა.

— აქა ვარ, — მოესმა ხმა, — ვაშლის ხის ქვეშ.

— ვინა ხარ? — შეეკითხა პატარა უფლისწული. — რა ლამაზი რამ ხარ!

— მელია ვარ, —თქვა მელიამ.

— მოდი მეთამაშე, — სთხოვა პატარა უფლისწულმა. — ძალიან მოწყენილი ვარ...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. №231-236



— ვერა, ვერ გეთამაშები, — უთხრა მელიამ, — დახელისავებული არა ვარ, ხელზე მოჩვეული.

— აჰ, მაპატიე, — უთხრა პატარა უფლისწულმა.

ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ კი ჰკითხა:

— რა არის ეგ დახელისავება თუ ხელზე მოჩვევა?

— ჩვენებური არა ჩანხარ, — თქვა მელიამ, — აქ რას დაეძებ!

— ადამიანებს დავეძებ, — თქვა პატარა უფლისწულმა, — რა არის ეგ დახელისავება თუ ხელზე მოჩვევა?

— ადამიანებს აქვთ თოფები, და სანადიროდ დადიან. ეს ძალიან უხერხული რამ არის! თანაც კიდევ ქათმები ჰყავთ ბლომად. ამიტომაც მეძვირფასებიან. შენ რა, ქათმებს ეძებ?

— არა, — უთხრა პატარა უფლისწულმა. — მეგობრებს ვეძებ. რა არის ეს დახელისავება თუ ხელზე მოჩვევა?

— ეს დიდი ხნის წინათ მივიწყებული რამ არის, გინდა ცნება თქვი, — აუხსნა მელიამ, — კავშირ-ურთიერთობას ნიშნავს.

— კავშირ-ურთიერთობას?

— სწორედაც, — უთხრა მელიამ. — შენ ჩემთვის ჯერჯერობით ერთი პატარა ბიჭი ხარ, ზუსტად ისეთი, როგორი ასი ათასიც სხვა პატარა ბიჭია, ამიტომ სულაც არა მჭირდები. მართალი თუ გინდა, არც მე გჭირდები. მე შენთვის მხოლოდ მელია ვარ, ზუსტად ისეთივე, როგორიც ასი ათასი სხვა მელიაა. მაგრამ თუ დამიხელისავებ, ხელზე მიმიჩვევ, ანუ გამიშინაურებ, ეგრევე ერთმანეთისთვის საჭირონი გავხდებით. შენ ჩემთვის მთელ ქვეყნიერებაზე ერთადერთი იქნები. მეც ერთი ვიქნები შენთვის ქვეყნიერებაზე...

— ვხვდები, უკვე ვხვდები, — თქვა პატარა უფლისწულმა, — ერთი ვარდია, მგონი, იმან, დამიხელისავა, გამიშინაურა.

— ადვილი შესაძლებელია, — დაეთანხმა მელია, — დედამიწაზე რაღა არა ხდება.

— არა, ეს დედამიწაზე არ მომხდარა, — თქვა პატარა უფლისწულმა.

მელია სახტად დარჩა.

— სხვა პლანეტაზე?

— ჰო.

— იმ პლანეტაზე მონადირენი არიან?

— არა.

— დიდად საგულისყუროა: არც ქათმები არიან?

— არა.

— მსოფლიოში სრულყოფილებას ტყუილად ვეძებთ! — ამოიოხრა მელიამ.

მაგრამ მერე ისევ თავის პირვანდელ აზრზე ალაპარაკდა:

— ნამეტნავად მოსაწყენია ცხოვრება. მე ქათმებზე ვნადირობ, ადამიანები კი ჩემზე ნადირობენ. სუყველა ქათამი ერთნაირია, ადამიანებიც ერთნაირები არიან. მართალი გითხრა, გავბეზრდი, მე და ჩემმა მზემ. მაგრამ თუ დამიხელისავებ, ხელზე მომიჩვევ და გამიშინაურებ, ჩემს ცხოვრებას სწორედ რომ მზე გააბრწყინებს. შენი ფეხის ხმას სხვა ათას ხმაში გამოვარჩევ. როგორც კი ადამიანის ფეხის ხმას გავიგონებ, მუდამ გავრბივარ და ვიმალები. შენი ნაბიჯის ხმა კი მუსიკასავით გამომიწვევს ჩემი სოროდან. მერე მნახე, რა მელიაც ვიქნები! ხედავ აი იქ, მუხლნაყარ ყანას? მე პურს არა ვჭამ. ხორბალი ყელში არ გადამდის, პურის ყანები მე არ არაფერს არ მეუბნებიან, რაც სამწუხაროა! მაგრამ შენ რომ დამიხელისავებ და გამიშინაურებ, ეს ოქროსფერი ყანები შენს ოქროს ქოჩორს მომაგონებენ, და მერე უნდა ნახო, როგორ შევიყვარებ მოკურდღლავე თაველგაჩენილ ყანაზე გადავლილ მზეკაბანს...

მელია გაკრინტდა და კარგა ხანს უცქეროდა პატარა უფლისწულს. მერე თქვა:

—თუ არ შეგაწუხებ... დამიხელისავე!

— რა შეწუხებაა, — მიუგო პატარა უფლისწულმა, — მაგრამ ცოტა დრო მაქვს. მეგობრები მყვანან საპოვნი და თანაც ათასი რამის გაგება მინდა.

— გაგება მხოლოდ იმისი შეიძლება, რასაც დაიხელისავებ, ხელზე მოიჩვევ, ანუ გაიშინაურებ, — თქვა მელიამ, — ადამიანებს უკვე დრო აღარ ჰყოფნით რისამე გასაგებად. ისინი მზა ნივთებს მაღაზიებში ყიდულობენ. ბევრიც რომ ეძებო, ვერსად ნახავ ისეთ მაღაზიებს, სადაც მეგობრებით ვაჭრობენ, ამიტომაც არის, რომ ადამიანებს მეგობრები აღარა ჰყვანან! თუ გინდა მეგობრის ყოლა, დამიხელისავე!

— მერედა, რა არის მაგისთვის საჭირო? — ჰკითხა პატარა უფლისწულმა.

— უწინარესად მოთმინება უნდა იქონიო, — მიუგო მელიამ, — პირველად აგერ იქ, ცოტა მოშორებით დაჯექი, ბალახზე — აი, ეგრე.

მე ალმაცერად დაგიწყებ ცქერას, შენ ჩუმად იყავი. სიტყვები მხოლოდ ხელს გვიშლიან ერთმანეთის გაგებაში. ყოველდღე უჩუმრად ცოტა ახლოს გადმოჯექი... ჩემკენ.

მეორე დღეს პატარა უფლისწული ისევ იმ ადგილას მივიდა.

— უმჯობესი იქნება, თუ ყოველთვის ერთსა და იმავე საათზე მოხვალ, — სთხოვა მელიამ, — აი, მაგალითად, თუ შენ ოთხ საათზე მოხვალ ხოლმე, მე უკვე სამი საათიდან თავს ბედნიერად ვიგრძნობ. ოთხ საათზე მე უკვე მღელვარება და მოუსვენრობა დამეწყება. ბედნიერების ფასს გავიგებ! მაგრამ თუ ყოველთვის სხვადასხვა დროს მოხვალ, მე არ მეცოდინება, რომელი საათისთვის უნდა მოვამზადო ჩემი გული... საჭიროა წეს-ჩვეულების დაცვა.



— ეგ წეს-ჩვეულება რაღაა? — დაეკითხა პატარა უფლისწული.

— ესეც დიდი ხნის წინათ დავიწყებული რამ არის. — აუხსნა მელიამ, — სწორედ წეს-ჩვეულების გამოა, რომ ერთი რომელიმე დღე არაფრით არა ჰგავს დანარჩენ დღეებს, ერთი რომელიმე საათი დანარჩენ საათებს აი, მაგალითად, ჩვენებურ მონადირეებს ასეთი წეს-ჩვეულება აქვთ: ხუთშაბათობით ყველანი სოფლელ გოგოებს ეცეკვებიან. მართლა საოცარი რამ დღეა ეს ხუთშაბათი! ჩემს ჭკუაზე დავდივარ არიარებზე და ზედ ვენახამდე მივდივარ ხოლმე! მაგრამ მონადირეები სულ რომ ცეკვავდნენ ან როცა მოეპრიანებათ, მაშინ ერთ დღეს მეორისგან ვეღარ გავარჩევდი, სუყველა, ერთნაირი იქნებოდა, და ჩემებურად ვეღარ ვიარხეინებდი.

აგრე დაიხელისავა, შეიკვეთ-შეიჩვია პატარა უფლისწულმა მელია, მაგრამ დადგა განშორების დღე.

— უშენოდ რა მეშველება? ნამდვილად ვიტირებ, — ამოიოხრა მელიამ.

— სულ შენი ბრალია, — უთხრა პატარა უფლისწულმა, — მე შენთვის გულის ტკენა არ მინდოდა, შენ თავად მოინდომე, რომ დამეხელისავებინე და გამეშინაურებინე...

— მართალი ხარ, — უთხრა მელიამ.

— ახლა დადექი და იტირე!

— ვიტირებ, აბა, რა!

— მერედა, მაგ ტირილით რას მოიგებ?

— მოვიგებ კი არა, მოვიგე, — შეეპასუხა მელია, — გაიხსენე, რას გეუბნებოდი ოქროსფერ თავთავებზე.

და ერთხანს დადუმდა. მერე კი დასძინა.

— წადი, ერთხელ კიდევ გადაავლე თვალი ვარდებს და დარწმუნდები, რომ შენი ვარდი ერთადერთია ქვეყანაზე. ხოლო უკან დასამშვიდობებლად რომ მობრუნდები, ერთ საიდუმლო რასმე გაგანდობ და ჩემი საჩუქარიც ის იქნება.

პატარა უფლისწული ვარდების დასახედად წავიდა.

— სად ჩემი ვარდი და სად თქვენ. სულაც არა ჰგავხართ, — უთხრა მან ბაღის ვარდებს, — თქვენ ჯერ არარანი ხართ. არც არცვის დაუხელისავებიხართ და არც თავად დაგიხელისავებიათ ვინმე. თქვენისთანა იყო ადრე ჩემი მელიაც. არცრით არ განსხვავდებოდა ასი ათასი სხვა მელიისგან, მაგრამ დავუმეგობრდი და ახლა ის ერთადერთია მთელ დედამიწის ზურგზე.

ვარდები ძალიან შეცბუნდნენ.

— თვალმწყაზარნი კი ხართ, — განაგრძობდა პატარა უფლისწული. — მაგრამ სულ ფუჭია ეგ თქვენი პირწყლიანობა. თქვენი გულისთვის არცვის სიკვდილი არ მოუნდება. რასაკვირველია, შემთხვევით ავლილმა ან ჩავლილმა თუ შეხედა ჩემს ვარდს, იტყვის, რომ ზუსტად თქვენისთანაა. მაგრამ ის ერთი უფრო ახატია ჩემს გულს, ვიდრე თქვენ ყველანი ერთად. ვინაიდან იმას ვარწყულებდი ყოველდღე და არა თქვენ. იმას ვახურავდი და არა თქვენ მინის თალფაქს. შირმასაც იმას ვუმყუდროვებდი, რათა ქარისგან დამეცვა. იმის გულისთვის ვხოცავდი მუხლუხოებსაც და მხოლოდ ორ-სამს თუ ვინდობდი, რომ პეპლები დაჩეკილიყვნენ. იმის ჩივილსაც ვუსმენდი და ტრაბახსაც, ის კი არა, გაფაციცებული ვუგდებდი ყურს, როცა ის ჩუმდებოდა. ჩემია და იმიტომ.

და პატარა უფლისწული მელიასთან დაბრუნდა.

— მშვიდობით, — თქვა მან.

— მშვიდობით, —თქვა მელიამაც, — აი, ჩემი საიდუმლოც, სულ უბრალო რამ არის: გამჭრიახი ერთი მხოლოდ გულია. ყველაზე მთავარს თვალებით ვერ დაინახავ.

— ყველაზე მთავარს თვალებით ვერ დაინახავ, — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რათა უკეთ დაეხსომებინა.

— შენი ვარდი ეგრე იმიტომ არის შენთვის უძვირფასესი, რომ ყოველდღე მაგას დასტრიალებდი.

— იმიტომ რომ ყოველდღე მაგას დავტრიალებდი, — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რათა უკეთ დაეხსომებინა.

— ადამიანებმა იგულმავიწყეს ეს ჭეშმარიტება, — თქვა მელიამ, — მაგრამ შენ არ იგულმავიწყო: შენ სამუდამოდ პასუხს აგებ ყველას ბედზე, ვინც კი დაგიხელისავებია, შეგიჩვევ-შეგიკვეთია და გაგიშინაურებია. პასუხს აგებ შენს ვარდზე.

— მე პასუხს ვაგებ ჩემს ვარდზე, — გაიმეორა პატარა უფლისწულმა, რათა კარგად დაეხსომებინა.



(გაგრძელება იქნება)

# შემობრუნება „დედაენისკენ“



**ბავშვის გონებრივი განვითარების პრინციპებზე დაფუძნებული იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“, მისი მეცნიერულ-პედაგოგიური ასპექტები და აღმზრდელობით ამოცანებში ცოდნის ორგანულად შერწყმის საკითხები დღესაც არ კარგავს პედაგოგიურ ღირებულებას ქართულ საგანმანათლებლო პოლიტიკაში.**

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში „დედაენის“ გარკვეული სახეცვლილებით დაბრუნების მომხრენი არიან პრაქტიკოსი პედაგოგები, მოსწავლე-ახალგაზრდობის დიდი ნაწილი, პროგრესულად მოაზროვნე ინტელიგენცია, ის პირნი, რომლებიც აუცილებლად მიიჩნევენ დაწყებითი განათლებისათვის განკუთვნილ სახელმძღვანელოებში არსებითი ცვლილების შეტანას. სწორედ ამ საკითხებს მიეძღვნა მიმდინარე წლის 15 ნოემბერს საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში ჩატარებული სამეცნიერო კონფერენცია. აღნიშნულ ბიბლიოთეკასთან ერთად კონფერენციის მოთავე გახლდათ საქართველოს ი. გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირი. კონფერენცია გახსნა ეროვნული ბიბლიოთეკის გენერალური დირექტორის მოადგილემ **მირიან ხოსიტაშვილმა**. კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ საჯარო სკოლების პედაგოგები თბილისიდან, რუსთავიდან; კონფერენციის იდეამ გამოხმაურება და მხარდაჭერა მოიპოვა ი. გოგებაშვილის პედაგოგიური მემკვიდრეობის მკვლევართა შორის. კონფერენციაზე მოხსენებები წარმოადგინეს ქ. გორის, ქ. ახალციხის უმაღლესი სასწავლებლების პროფესორ-მასწავლებლებმა, ვარიანის ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის თანამშრომლებმა. საინტერესო მოხსენება გადმოგზავნა კონფერენციაზე განათლების მეცნიერებათა დოქტორმა, პროფ. ნათელა მაღლაკელიძემ: „იაკობ გოგებაშვილის „დედაენა“ და ქართული საანბანო წიგნები“. მასში მიმოხილულია ქართულ ენაზე გამოცემული საანბანო წიგნები უძველესი დროიდან მიმდინარე საუკუნემდე. დასახელებულია შატბერდის, აბუსერიძე ტბელის, სულხან საბა-ორბელიანის, რომში გამოცემული „იბერიული ანბანი“, სტოლჰოლმში გამოცემული „ქართული ანბანი“, გაიოზის „ანბანი“, ტარასი მღვდელ-მონაზვნის „ანბანი“, პლატონ იოსელიანის „ანბანი ქართული“ და სხვ. მე-19 საუკუნის ქართული საანბანო წიგნებიდან ავტორს დახასიათებული აქვს ი. კერესელიძის „ანბანი ახალ-მოჰსწავლეთა ყრმათათვის“, დ. ფურცელაძის „ანბანი“, პ. უმიკაშვილის „ქართული ანბანი“ და სხვები, რომლებიც შედგენილი იყო სასწავლო დანიშნულებით, მაგრამ ბევრი მათგანი, როგორც ავტორი აღნიშნავს, არ შესულა სკოლებში. ყველა აქ დასახელებულმა საანბანო წიგნებმა 1876 წლიდან ადგილი დაუთმო ი. გოგებაშვილის „დედაენას“.

„დედაენის“ შინაარსი ყოველმხრივ გააანალიზა და ი. გოგებაშვილის ფენომენის შესახებ მოხსენება წარმოადგინა პედაგოგიკის დოქტორმა, საქართველოს განათლების მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, ი. გოგებაშვილის პრემიის ლაურეატმა **ზურაბ ცუცქირიძემ**.

„დედაენის“ შინაარსსა და მის მრავალმხრივ მიმართულებებზე საინტერესო მოხსენებებით გამოვიდნენ ქ. რუსთავის საჯარო სკოლის პედაგოგი **ციური ბერიძე**, თემაზე „ქართულ სკოლაში რუსული ენის სწავლების პრობლემები ვლადიმერ (ლადო) აღნიაშვილისა და იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში“; ისტორიის დოქტორი **ელბერდ ბატიაშვილი**, თემაზე — „ილია ჭავჭავაძე და ქართული ენა“, საინტერესო იყო ქ. რუსთავის საჯარო სკოლის პედაგოგის **ნ. ლაზარიშვილის** მოხსენება „იაკობ გოგებაშვილის შეხედულება ქართული მართლმადიდებელი ეკლესიის შესახებ“; ქ. გორის სასწავლო




უნივერსიტეტის პროფესორმა **ნ. ოთინაშვილმა** ვრცლად ილაპარაკა იაკობ გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში ქართული ლექსიკის შესახებ. ამავე უნივერსიტეტის პროფესორმა **ც. ბაქრაძემ** მოკლედ დაახასიათა ზნეობრივი აღზრდის საკითხები ი. გოგებაშვილის პედაგოგიურ მემკვიდრეობაში.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის თანამშრომლებმა კონფერენციაზე წარმოადგინეს მოხსენებები: „იაკობ გოგებაშვილის „ბურჯი ეროვნებისა“ (ი. სისაური); „იაკობ გოგებაშვილის პირადი ბიბლიოთეკა“ (მ. მიქაბერიძე); „დედაენის გამოცემები ავტორის გარდაცვალების შემდეგ“ (გ. თაყნიაშვილი). საინტერესო იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორის ნ. მახვილაძის მოხსენება „იაკობ გოგებაშვილის წიგნების „უკეთილსინდისიერი ამწყობი“; მეცნიერების ისტორიკოსის **გ. სარაჯიშვილის** მოხსენება შეეხებოდა იაკობ გოგებაშვილის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ნაკლებად ცნობილ ეპიზოდებს.

კონფერენციის მონაწილენი დიდი ინტერესით გაეცნენ კავშირი „გიორგის“ სახელით წარმოდგენილ მოხსენებას „გოგებაშვილის კვალდაკვალ“. სასწავლო შემეცნებითი მარშრუტის ტექსტი და განმარტებები ჩამოაყალიბეს ჟურნალისტმა და მხარეთმცოდნემ **გვანჯი მანიამ** და მწერალმა, მხატვარმა და მკვლევარმა **სიმონ ჯაფარიძემ**. ტურისტული მარშრუტი მოიცავს მთაწმინდის პანთეონს, ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმს (სოლოლაკში აღდგენის შემდეგ), ქართულ გიმნაზიას, ქაშუეთის ტაძარს, „დედაენის“ ძეგლს და სხვა ქართველოლოგიურ კერებს.

სოფ. ვარიანის ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის დირექტორმა **ნათელა ადუაშვილმა** თავის მოხსენებაში მსმენელთა ყურადღება გაამახვილა იაკობ გოგებაშვილის დამოკიდებულებაზე ქართული ხალხური მუსიკისადმი.

კონფერენციაზე სიტყვით გამოვიდა და იაკობ გოგებაშვილის სახელობის პედაგოგთა კავშირის ამოცანებზე ისაუბრა კავშირის თავმჯდომარემ, პროფესორმა **გარი ჩაფიძემ**. კონფერენციის მონაწილეებმა ერთსულოვანი მოსაზრება გამოთქვეს ი. გოგებაშვილის სახლ-მუზეუმის აღდგენის, ქართული საანბანო სახელმძღვანელოების არსებითად გადამუშავებისა და „დედაენის“ პრინციპებთან მათი დაახლოების საკითხებზე; კონფერენციის საორგანიზაციო ჯგუფის მიერ შემუშვდა რეკომენდაციები, რომლებიც წარედგინა ქვეყნის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ორგანოებს.

„დედაენისადმი“ ინტერესი შეუნელებელია თანამედროვე მოწინავე, პროგრესული ინტელიგენციის ნააზრევში, ი. გოგებაშვილის შემოქმედების მკვლევარებში, ქართული პედაგოგიური აზროვნებისა და პრაქტიკოს პედაგოგთა წერილებსა და გამოსვლებში. საკმარისია დავასახელოთ ფილოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **გიორგი გოგოლაშვილის** ბოლოდროინდელი ნაშრომები „დედაენის“ სადიდებლად თქმული და დაწერილი. ვნახოთ, როგორი გულისტკივილითა და სინანულით წერს „დედაენისადმი“ ბოლოდროინდელი დამოკიდებულების შესახებ: „ხომ არ დააკლდა „დედაენას“ სიმხურვალე ქართული გულისა, ხომ არ დაკარგა ამ წიგნმა მთავარი ფუნქცია ქარველი ადამიანის აღზრდისა“... იგივე ავტორი 2008 წელს სიხარულით წერდა: „დედაენა“ დაუბრუნდა ქართულ სკოლას“; ეს იმ დროს, როდესაც „„დედაენამ“ გაიმარჯვა სახელმძღვანელოების კონკურსში, ხოლო მოგვიანებით, როდესაც თურმე „დედაენამ“ ველარ დააკმაყოფილა ახალი კონკურსის პირობები, გ. გოგოლაშვილი ასევე გულისტკივილით წერდა: ქართულმა სკოლამ უარი თქვა „დედაენაზე“ ჯერჯერობით“ (მისივე წიგნიდან: „დედაენის“ თავგადასავალი“, თბ., 2015. გვ.43).

სამეცნიერო კონფერენციაზე წარმოდგენილი თემატიკა, ი. გოგებაშვილის პედაგოგიური შეხედულებების პოპულარიზაციის მიზნით გამოქვეყნებული უამრავი ნაშრომი, სტატია, კონფერენციებისა და სიმპოზიუმების მასალები, პრაქტიკის პედაგოგთა მოსაზრებები, საანბანო სახელმძღვანელოების ანალიზი მეცნიერ-მეთოდისტების შენიშვნები და რეკომენდაციები ერთხელ კიდევ ადასტურებენ „დედაენისადმი“ შეუნელებელ ინტერესს და ამ წიგნისაკენ შემობრუნების უცილობელ თვალსაზრისს.

**გურამ თაყნიაშვილი**

---

**ჩიტმა ამბავი მოგვიტანა**



# ახსოვთ რუსთაველი!..

**ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, როცა შემთხვევით, ინტერნეტის მეშვეობით ვიხილე საზეიმო შეხვედრის ჩანაწერი, რომელიც ეძღვნებოდა შოთა რუსთაველის ძეგლის გახსნას ქალაქ სანკტ-პეტერბურგში. პეტერბურგის საზოგადოებამ ყვავილებით შეამკო რუსთაველის ძეგლი და ამგვარად აღნიშნა შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლის იუბილე. თარიღი, რომელიც საქართველოში ბევრს არავის გახსენებია. არადა, იყო დაპირებები, რომ გრანდიოზულ იუბილეს ჩავატარებდით...**

რუსეთის ინტელიგენციამ ნამდვილად იყოჩაღა. სანკტ-პეტერბურგში რუსთაველის 3-მეტრიანი ძეგლი გაიხსნა.

ძეგლი სრულიად საქართველოს რუსთაველის საზოგადოებისა და ამავე საზოგადოების სანკტ-პეტერბურგის ფილიალის თავმჯდომარის **ავთანდილ ბუთხაშვილის** ძალისხმევით დადგეს. ქანდაკების ავტორი კი **ზურაბ წერეთელია,** რომელმაც ეს შესანიშნავი ნამუშევარი პეტერბურგელებს აჩუქა.

პეტერბურგელებიც, როგორც ჩანდა, კმაყოფილნი იყვნენ და დიდ სიყვარულს გამოხატავდნენ დიდი ქართველი პოეტის მიმართ. ძეგლი შოთა რუსთაველის ქუჩაზე დაიდგა!

საკვირველი ის არის, რომ ინფორმაცია ასეთი მნიშვნელოვანი ფაქტის შესახებ, ჩვენი მასმედიის ყურადღების მიღმა აღმოჩნდა. არც ერთმა ქართულმა ტელეარხმა ეს ცერემონია არ აჩვენა (არა მგონია, გამომრჩენოდა). ერთ-ერთ ტელეგადაცემაში ქალბატონმა **ლალი ბადურაშვილმა** აღშფოთებით ილაპარაკა ამის შესახებ. რუსეთი და მისი პოლიტიკა იქით იყოს, მაგრამ ნუთუ ის ამბავი, რომ ჩვენი დიდი პოეტის ძეგლი სადღაც დაიდგა, არ იყო აღნიშვნის ღირსი?

რუსთაველის ძეგლი რომც არ ყოფილიყო, თუნდაც იმ ფაქტის გაშუქება ხომ იყო საჭირო, რომ ძეგლის ავტორია ქართველი მოქანდაკე. ჩვენი თანამემამულის ნამუშევარი, დედამიწის რომელ კუთხეშიც არ უნდა დაიდგას, საქართველოს არ უნდა აინტერესებდეს? სხვათა შორის, კარგი იქნებოდა კვარცხლბეკზე ამოტვიფრულიყო შოთა რუსთაველის სიტყვები ქართულ და რუსულ ენებზე: „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“; „Кто себе друзей не ищеть, самому себе он враг“. ამის გამოსწორება მომავალშიც შეიძლება. განა, რამდენი რუსი იცნობს რუსთაველის აფორიზმებს?

რა თქმა უნდა, თვით ამ ამბავშიც (რუსეთში დიდი ქართველი პოეტის ძეგლის დადგმა) იმალება პოლიტიკა. რუსეთის მხრიდან ქართველებისთვის „თავის მოქონვის“ პოლიტიკა, მაგრამ ამის გამო, პირში წყალი ჩაიგუბო, რბილად რომ ვთქვათ, უხერხულია.

ტელევიზიის, მასმედიის როლი იმაში გამოიხატება, რომ ფაქტი (ფაქტები აღრიცხოს, ისტორიას შემოუნახოს), იგნორირება ფაქტისა, უკადრისი საქციელია.



**მზია გელენავა**

---

# განცხადება

**2017 წლის თებერვლის თვეში 13:00 საათზე, კასპის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მის: მ. კოსტავას ქუჩა №18), გაიმართება შპს „ბუგატო ენერჯი“-ს პროექტის მეტეხი-1 ჰიდროელექტროსადგურის გზშ ანგარიშის საჯარო განხილვა.**

**დაგეგმილი საქმიანობის მიზანს წარმოადგენს ელექტროენერგიის წარმოება.**

**- საზოგადოების წარმომადგენლებს დაგეგმილ საქმიანობასთან დაკავშირებული დოკუმენტაციის გაცნობის საშუალება ექნებათ შემდეგ მისამართებზე:**

**კასპის მუნიციპალიტეტი (მუნიციპალიტეტის გამგეობის შენობაში. მის.: ქ.კასპი, მერაბ კოსტავას №18; ტელ.: +0370 22 24 48).**

**დოკუმენტაციის ელ. ვერსიის გაცნობა ასევე შესაძლებელია შემდეგ ელექტრონულ მისამართებზე :** www.moe.gov.ge; www.aarhus.ge;

**საზოგადოების მოსაზრებების წარდგენის ბოლო ვადაა 2017 წლის თებერვლის თვის 6 რიცხვში 13:00 საათამდე.**

**ევროკავშირთან თავისუფალი მიმოსვლის ამოქმედებას საქართველოში მომავალი წლის პირველ კვარტალში ელიან. როგორც საქართველოს მთავრობის წარმომადგენლები ამბობენ, ამის თაობაზე შეთანხმება მიღწეულია, ეგრეთ წოდებული შეჩერების მექანიზმზე ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის კონსენსუსი მიღწეული და ევროპარლამენტის მიერ დამტკიცებულია და ამ გადასახედიდან ასოცირების ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირველი ყველაზე მსხვილი ბენეფიტის მიღებას საქართველოსთვის წინ არაფერი უდგას.**




# უვიზო რეჟიმი აფხაზებისა და ოსებისთვის

ევროკავშირის ქვეყნებთან თავისუფალი მიმოსვლის პერსპექტივა საქართველოს ყველა მოქალაქისთვის თანაბრად ხელმისაწვდომი იქნება, მათ შორის, მათთვისაც, ვინც დღეისთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე ცხოვრობს.

იმ ტერიტორიაზე მცხოვრებ მოქალაქეებს, სადაც საქართველოს იურისდიქცია დღეს არ ვრცელდება, საქართველო, ეგრეთ წოდებულ, სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტს სთავაზობს, რომლითაც ასევე შესაძლებელია საქართველოს ფარგლებს გარეთ მოგზაურობა. სტატუს-ნეიტრალურ დოკუმენტზე არაა დატანილი არანაირი გამოსახულება, რაც მას საქართველოს მიერ გაცემულ საბუთად წარმოადგენდა. მისი იდენტიფიცირება მხოლოდ სპეციალური კოდის საშუალებით ხდება, თუმცა როგორც შერიგების სამინისტროში გვიხსნიან, სტატუს-ნეიტრალური დოკუმენტი ამ დროისთვის ევროკავშირის ყველა ქვეყნის მიერ არაა აღიარებული, შესაბამისად, მის მფლობელს გარკვეული შეზღუდვები აქვს.

„ამერიკის ხმასთან" საუბრისას თინა ღოღელიანი, შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სამინისტროს საერთაშორისო ორგანიზაციებთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი ამბობს: **„ვიზალიბერალიზაციის პერსპექტივა საინტერესო იქნება აფხაზებისა და ოსებისთვისაც. საქართველოს მთავრობა მზადაა, სრულად გაუზიაროს მათ ის სიკეთე, ის ბენეფიტები, რასაც ეს პროცესი მოუტანს მთლიანად ქვეყანას. მას შემდეგ, რაც პროცედურულად ამოიწურება ეს საკითხი, საქართველოს მოქალაქეები შეძლებენ, ვიზის გარეშე იმოგზაურონ და მოინახულონ ევროპის სახელმწიფოები, ამის შესაძლებლობა, რა თქმა უნდა, მიეცემათ აფხაზებსა და ოსებსაც იმ შემთხვევაში, თუ ექნებათ ქართული პასპორტი. იმ გარემოში, სადაც, ძირითადად, რუსული წყაროებიდან მიდის ინფორმაცია, რომელიც არაობიექტურ და დამაშინებელ ხასიათს ატარებს, ჩვენ არ ვართ დარწმუნებული, რომ აფხაზები და ოსები ფლობენ ცოდნას იმის შესახებ, თუ რა სიკეთეებს მოიტანს და რა დადებითი პერსპექტივებია დაკავშირებული ვიზალიბერალიზაციის პროცესში".**

„ამერიკის ხმა" ნაციონალიზმისა და კონფლიქტების კვლევის ინსტიტუტის თანამშრომელს **ელიკო ბენდელიანსაც** ესაუბრა, რომელიც ხშირადაა უცხოეთში გამართული ქართულ-აფხაზური და ქართულ-ოსური გასაიდუმლოებული შეხვედრების ფასილიტატორი და მონაწილე.

**„კონკრეტული საინფორმაციო კამპანია იმის შესახებ, თუ როგორ შეძლებენ ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანები ევროკავშირის ქვეყნებთან უვიზო რეჟიმით სარგებლობას, არ არის. იმის შესაძლებლობაც კი არ არის, რომ თუნდაც ჩვენ პირდაპირ მივაწოდოთ ინფორმაცია ვიზალიბერალიზაციის თაობაზე. როგორ ხედავენ ამ შესაძლებლობებს თვითონ, ამის შესახებ საუბარი რთულია, რადგან თუ ვინმე ხედავს მართლაც პერსპექტივას, ეს, რა თქმა უნდა, არის გასაიდუმლოებული. ყოველ შემთხვევაში, საჯაროდ ამის შესახებ მოსაზრებებს არ აფიქსირებენ, თუმცა მე მგონია, რომ ხანგრძლივ პერსპექტივაში, ესაა გარკვეული ინსტრუმენტი იმისთვის, რომ ეს ადამიანები მოვიზიდოთ და შევქმნათ მათთვის მოტივაცია, მიიღონ საქართველოს მოქალაქეობა. რაც შეეხება დაინტერესებას მათი მხრიდან ევროინტეგრაციის პროცესით, ეს მხოლოდ პირად საუბრებში ფიქსირდება. ხშირად სვამენ კითხვებს იმის შესახებ, თუ რა ეტაპზე ვართ, რას ითვლისწინებს, რამდენად რეალურია? თუმცა ვერ გეტყვით, საკუთარ თავს რამდენად ხედავენ ამ პროცესში".**

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა საქართველოსთვის ოკუპირებულ ტერიტორიებზე მცხოვრები ადამიანების ინფორმირებაა იმის შესახებ, რომ მათაც, ისევე როგორც საქართველოს სხვა ტერიტორიაზე მცხოვრებ ადამიანებს, ევროკავშირის ქვეყნებთან შეუზღუდავი გადაადგილების სიკეთით სარგებლობა შეეძლებათ.

„Radio Voice of America" (აშშ)

---

**„საზღვრების გარეშე", ანუ „გახსნილი მსოფლიოს" მომხრეები, რომლებსაც ყველანი გლობალისტებს ვეძახით, სახელმწიფოთა საზღვრების წაშლას, ყველა მიგრანტის შეფარებას და მათთვის ნებისმიერი კულტურის განვითარების თუ სარწმუნოების შეუზღუდავი ქადაგების უფლების მიცემის მოთხოვნას აყენებენ და ეს ხმები ზოგიერთ ქვეყანაში დღიდან დღემდე სულ უფრო ძალუმად გაისმის.**

# „ჩემი სახლი ჩემს ციხე-სიმაგრედ" რომ დარჩეს

თუმცა კი ბოლო დროს ბევრგან უფრო საღი აზრი ჭარბობს, საზოგადოება ამ „უკანმოუხედავად ხელგაშლილი" პოლიტიკის მიღმა სხვა ინტერესებს ხედავს, პოლიტიკოსები კი იმ ჭკუაზე დგებიან, რომ ესაა ეროვნული ნიადაგის გამოფიტვისა და ტერიტორიების გამო შეურიგებელი კონფლიქტების წარმოშობის უაღრესად ხელშემწყობი წინაპირობა.

მთავარი პრობლემა, რომლის გათვალისწინება ყველა, ეროვნული მთავრობისთვისაა აუცილებელი, ისაა, რომ უმეტეს შემთხვევაში უცხოტომელები ადგილობრივ მოსახლეობაში კი არ ასიმილირდებიან, არამედ, როგორც კი მეტ-ნაკლები კომფორტით მოეწყობიან, საკუთარ წეს-ჩვეულებათა დამკვიდრებას იწყებენ. ბევრნი კი, განსაკუთრებით ახალგაზრდა ორთოდოქსები, განსაკუთრებული აგრესიულობით გამოირჩევიან, რაც, უწინარესად, უკიდურესად ანტისოციალური ქმედებებით – ხშირად მთელი ქალაქების თავიანთი კომპაქტური დასახლების უბნებში საზოგადოებრივი ცხოვრებისა და მოქცევის მათთვის ჩვეული წესის ძალისმიერი დამყარებით, ქალთა მიმართ ძალადობით, ზოგადად, ანტისაზოგადოებრივი მოქცევით გამოირჩევიან.

სავსებით ბუნებრივია, რომ კომუნიკაციური შესაძლებლობების უდიდესი ტექნოლოგიური გარღვევის პირობებში, როცა მთელ მსოფლიოში არა მარტო საქონელი, არამედ საზოგადოებრივი მოწყობის მთელი მოდელები და ცალკეული იდეები თავისუფლად გადაადგილდება, აზრთა სხვაობა და ყოფის განსხვავებული მოდელების არსებობა, მით უმეტეს დემოკრატიის პირობებში, გარდაუვალია. მაგრამ ისიც ხომაა, რომ ეს იმას სულაც არ ნიშნავს, რომ ტრადიციული, ფასეულობები, ცნებები ამიერიდან „აღარ ფასობენ"? პირიქით, უცხოტომელთა მომრავლებისა და მოძალების პირობებში ადგილობრივი მოსახლეობა საკუთარი სარწმუნოების, ცხოვრების ჩვეული წესის, საკუთრებისა და ზნე-ჩვეულებათა დაცვას უფრო მძაფრად იწყებს. ასეთი რამ ამერიკის შეერთებულ შტატებშიც კი ჩვეულებრივი რამაა – რეალურად მიგრანტების მიერ შექმნილ ზესახელმწიფოში, ქვეყანაში, რომელსაც ნებისმიერი კულტურის ასიმილირების უზარმაზარი გამოცდილება აქვს და იქაური მოსახლეობა ყველგვარი გარე ზემოქმედების საფრთხის წინაშე შესაშურ ერთიანობას გამოხატავს. მაგალითად, ჯერ კიდევ პრეზიდენტობის კანდიდატად ყოფნისას, დონალდ ტრამპი აცხადებდა, რომ ქვეყნიდან კრიმინალური წარსულის მქონე მილიონობით მიგრანტის გასახლებას აპირებს, მექსიკასთან საზღვრის ზოგიერთ უბანზე კი გადაულახავი კედლის აშენებას გეგმავს, თანაც ისევ მექსიკის ხარჯზე. ხოლო თუ ეს ქვეყანა ამაზე უარს იტყვის, შეერთებული შტატებიდან მექსიკაში ფულად გადარიცხვებს აკრძალავს, რითაც იქაურ ეკონომიკას „დაანოკაუტებს".

მის მაგალითს ახლა უკვე სხვა ქვეყნებიც ბაძავენ. კერძოდ, შესაძლოა, ბევრმა არც იცის, რომ მიგრანტების მიმართ უაღრესად ტოლერანტული დასავლეთ ევროპის ზოგიერთი სახელმწიფოსგან განსხვავებით, ავსტრალია, რომელიც თანამედროვე გახსნილ საზოგადოებას წარმოადგენს, არალეგალ მიგრანტთა მიმართ მეტად მკაცრ ზომებს იღებს. თავდაპირველად ისინი ერთგვარ სარეზერვაციო ბანაკებში ჰყავთ, შემდგომ კი კუნძულოვან სახელმწიფოებში ნაურუში ან პაპუა ახალ გვინეაში ასახლებენ, რომელთა მთავრობებს ლტოლვილთა მიღებაში ავსტრალიის ხელისუფლება ფულს უხდის. ამ შემთხვევაში გასაგებია ავსტრალიის მთავრობის სავსებით ბუნებრივი მისწრაფება: ქვეყანაში თანამედროვე გახსნილი საზოგადოებაა ჩამოყალიბებული, რომელიც მომავალშიც ასეთად დარჩენას აპირებს. ამის ერთ-ერთი განმსაზღვრელი წინაპირობა კი შედარებით დაბალგანვითარებული ქვეყნებიდან დაუპატიჟებელ „სტუმართა" უმართავი ნაკადის შეჩერებაა.

აუცილებლად უნდა გაესვას ხაზი იმასაც, რომ უკანონო მიგრანტთა მოზღვავების შესაჩერებლად მიმართული პოლიტიკა აქტუალური მანამდე მათ მიმართ უაღრესად კეთილგანწყობილ მთელ რიგ დასავლეთევროპულ ქვეყანაშიც შეიმჩნევა.

კერძოდ, ცოტა ხნის წინათ, საფრანგეთში, ქალაქ კალეს მახლობლად, დიდ ბრიტანეთში გადასვლის მსურველ არალეგალურ მიგრანტთა კარვები გაანადგურეს. იგივე ბედი ეწია პარიზში მეტროპოლიტენის ერთ-ერთი სადგურის მახლობლად ლტოლვილთა დროებით დასახლებასაც. ერთ დროს ხელისუფლება მიგრანტების ქვეყანას პატარ-პატარა ქალაქების სამიგრაციო ცენტრებში განთავსებას აპირებდა, მაგრამ ამის გაკეთებას ადგილობრივი მოსახლეობის წინააღმდეგობის გამო ვერ ახერხებს.



კიდევ ერთი მეტად საგულისხმო ამბავი გერმანიის სამხედრო კონტრდაზვერვის ცნობაა, რომლის თანახმად, ბოლო დროს ბუნდესვერის შენაერთებში ორი ათეული ისლამისტია გამოვლენილი, სხვადასხვა ტერორისტული დაჯგუფება კი თავის წევრებს (ვთქვათ, გერმანიის მოქალაქეობის მქონე მეორე-მესამე თაობის მიგრანტებს) მიზანმიმართულად გზავნის სამხედრო სამსახურში, რათა მათ საბრძოლო მოქმედებების ტაქტიკა და თანამედროვე შეიარაღების სხვადასხვა ტიპის გამოყენება შეისწავლონ.

თუ რამდენად გამკაცრდება მათ მიმართ შემზღუდველი ზომები, ამას უახლოესი მომავალი გვიჩვენებს, მაგრამ, ფაქტი ისაა, რომ საქართველო, რომლის საგარეო კურსი ურყევად ევროინტეგრაციისკენაა მიმართული, ბევრი გამოწვევისთვის ამთავითვე მზად უნდა იყოს, თორემ, დროთა განმავლობაში, შესაძლოა, ძნელად დასაძლევი პრობლემების წინაშე აღმოვჩნდეთ, როგორც ეს მანამდეც არაერთხელ მომხდარა.

**ოთარ ტურაბელიძე**

## მოშე კაცავი შეიწყალეს





**ისრაელის ექსპრეზიდენტი მოშე კაცავი ციხიდან ვადაზე ადრე გათავისუფლდება. ინფორმაციას ყოფილი პრეზიდენტის ადვოკატი ავრცელებს.** მისი თქმით, გადაწყვეტილება შეწყალების კომისიამ უკვე მიიღო. კაცავი, რომელიც სასჯელს გაუპატიურებისთვის იხდის, ციხეს მომდევნო კვირას დატოვებს. ექსპრეზიდენტმა შეწყალების კომისიას მანამდე ორჯერ მიმართა, თუმცა მისი მოთხოვნა მხოლოდ ახლა დაკმაყოფილდა. მოშე კაცავს თავისუფლების აღკვეთა 2011 წელს მიესაჯა. სასამართლომ ის თანაშემწეების გაუპატიურებაში ცნო დამნაშავედ.

## ესპანეთში საპროტესტო აქციები იმართება




**ანტისამთავრობო აქცია გაიმართა ესპანეთში.** მადრიდის ცენტრში შეკრებილი დემონსტრანტები მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის წინააღმდეგ გამოვიდნენ. აქციები მადრიდის გარდა ესპანეთის სხვა ქალაქებშიც გაიმართა. მომიტინგეებმა მთავრობა უმოქმედობაში დაადანაშაულეს და განაცხადეს, რომ არასწორმა პოლიტიკამ ქვეყანაში უმუშევრობის დონე გაზარდა.

## რექს ტილერსონი სკანდალში გაეხვა

**ამერიკის მომავალი სახელმწიფო მდივანი ხმაურიან სკანდალში გაეხვა. როგორც გერმანული გამოცემა ცაიტუნგი წერს, რექს ტილერსონს ოფშორული კომპანია ჰქონდა.** საუბარია „ექსონ ნეფტოგაზის“ შვი-



ლობილ კომპანიაზე, რომელიც ბაჰამებზე იყო დარეგისტრირებული. კომპანიის დირექტორთა საბჭოში ტილერსონიც ირიცხებოდა. „ექსონ ნეფტოგაზი“ რუსული პროექტის, „სახალინ ერთის“ ოპერატორი კომპანია იყო. რექს ტილერსონს ამერიკის არჩეულმა პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა სახელმწიფო მდივნობა 2 კვირის წინ შესთავაზა. ცნობილია, რომ მომავალ სახელმწიფო მდივანს რუსეთთან საქმიანი ურთიერთობები აკავშირებდა და პუტინთანაც მეგობრობდა.

## სტიქია ვიეტნამში



**ვიეტნამში სტიქიის შედეგებს ითვლიან.** ბოლო მონაცემებით, ძლიერმა ქარიშხალმა და წყალდიდობამ 24 ადამიანი იმსხვერპლა, 2 კი დაკარგულად ითვლება. წყალდიდობამ 19 ათას ჰექტარამდე ბრინჯის ნათესი გაანადგურა. დატბორილია ასობით საცხოვრებელი სახლი. სტიქიით მიყენებული ზარალი 35 მილიონ დოლარს აღემატება.

◎ ჟურნალისტი მხარს უჭერს

# ბეისბოლი და სოფტბოლი საქართველოში

### ბავშვობაში რიკტაფელას ვთამაშობდით...

**საქართველოს დასავლური ორიენტაცია არ არის რაღაც განყენებული წარმოდგენა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაზე. ასეთი ორიენტაცია, ალბათ, დატვირთული უნდა იყოს შესაბამისი შინაარსით, რაც გაამართლებს ჩვენს უესტერნიზაციას, თუკი ასეთი რამ საერთოდ არსებობს ბუნებაში და თუ ის მისაღებია ერისთვის. ცხადია, რომ ინგლისური ენის ცოდნა ამის უპირველესი ნიშანი და წინამძღვარია, მაგრამ არასაკმარისი, თუმცა ქართველის საერთო ცოდნას უცხოურ ენებში წუნს ნამდვილად ვერ დასდებ. დასავლური ტრადიციების გაზიარება, დასავლური ცხოვრების წესის აღიარება და საქციელის დასავლური მანერის შეძენაც გაამარტივებდა და დააჩქარებდა ჩვენი ეგრეთ წოდებული უესტერნიზაციის პროცესს. ცხადია, სპორტი აქ ითამაშებდა უმნიშვნელოვანეს როლს. მაგალითად, კრიკეტის თამაში რაღაც ბრიტანულს შეგვძენდა, ხოლო ბეისბოლი და სოფტბოლი ერთგვარ სიახლოვეს გამოიწვევდა ამერიკულ სპორტულ კულტურასთან. სწორედ ასეთი გზით ხდება ხოლმე ერების დამეგობრება, რაც საქართველოს ნამდვილად არ აწყენდა, თუნდაც დიდი დოზით.**




სოფტბოლი



ბეისბოლი

ქართველებმა უკვე კარგა გვარიანად გაუგეს გემო ბეისბოლს და სოფტბოლს. სპორტის ამ სახეობათა ფედერაციაც კი მოქმედებს ქვეყანაში, რომელიც თავს არ ზოგავს იმისთვის, რომ ჩვენს ხალხს ჰქონდეს ამ სახელგანთქმული ამერიკული სპორტული გართობის რეალური შეგრძნება. გუშინდელ დღესავით მახსოვს 1989 წლის ერთი ამბავი, რომელიც თავს გადამხდა. მაშინ, ამერიკული სატელევიზიო გიგანტის ენ-ბი-სის შვილობილ ტელეკომპანიაში ვმუშაობდი კორესპონდენტად და რუბრიკის წამყვანად ჯორჯიის შტატის დედაქალაქ ატლანტაში. ერთხელ, სტუდიამ დამავალა ბეისბოლზე შემექმნა სიუჟეტი, რასაც აღფრთოვანებით მოვკიდე ხელი. რა სათქმელია და, იმ სიუჟეტმა ტელევიზიის მფლობელი კომპანიის „გენეტის“ სპეციალური პრიზი დაიმსახურა ჩემდა საამაყოდ და სასიხარულოდ. თამაშზე, რომელსაც დავესწარი, მახსოვს, 200-ზე მეტ ბეისბოლის ბურთზე აღვბეჭდე ჩემი ავტოგრაფი გულშემატკივართა თხოვნით. შეგრძნება იყო სრულიად უნიკალური — სწორედ მაშინ დავიწყე ფიქრი ამ თამაშის საქართველოში გადმონერგვის შესაძლებლობაზე. რა სასიხარულოა, რომ ეს ოცნება ამიხდა ორი ქართველის რამაზ გოგლიძისა და გელა ჩიხრაძის ძალისხმევის წყალობით, რომლებმაც მოახერხეს ამერიკული ჯორჯიიდან ჩვენს ჯორჯიაში ბეისბოლოს და სოფტბოლის ნერგის ჩამოტანა და ქართულ მიწაზე მისი გახარება. სწორედ ისინი არიან სპორტის ამ მიმზიდველი სახეობის დამფუძნებელი მამები საქართველოში. რამაზ გოგლიძე კი, კაცი, რომელიც დიდხანს ედგა სათავეში ქართულ სპორტს, არის ფედერაციის პირველი პრეზიდენტი და მისი უცვლელი საპატიო პრეზიდენტი. გარდა ამისა, ის თავის დროზე იყო სოფტბოლის საერთაშორისო ფედერაციის და ევროპის ბეისბოლის კონფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი. ამას იმიტომ ვამბობ, რომ საქართველოს უკვე აქვს თავისი სიტყვა ნათქვამი არა მხოლოდ ამერიკის, არამედ მსოფლიოს ამ ერთ-ერთ ყველაზე პოპულარულ მასობრივ სპორტში, რომელიც უკვე დაბრუნდა ოლიმპიური სპორტის სახეობათა ნუსხაში.



რამაზ გოგლიძე (მარჯვნივ) და გელა ჩიხრაძე ბეისბოლის მატჩზე

ახლახან გაიმართა საქართველოს ბეისბოლისა და სოფტბოლის ფედერაციის საარჩევნო-საანგარიშო ყრილობა, რომელზეც ამ საქმეში ჩაბმულ ადამიანთა ერთობ შთამბეჭდავი გამოცხადება მოხდა. პირველად ქართული ბეისბოლის 30-წლიან ისტორიაში, ფედერაციის პრეზიდენტად ერთხმად აირჩიეს ბეისბილის მოთამაშე. ეს გახლავთ დავით ხრიკაძე, ცნობილი ბეისბოლისტი, საქართველოსა და საბჭოთა კავშირის ნაკრებთა ყოფილი წევრი, სპორტის ოსტატი, ბიზნესმენი და საზოგადოებრივ საქმიანიობაში აქტიურად ჩაბმული ადამიანი. დათო შეპირდა იმედით აღვსილ ყრილობის მონაწილეებს, რომ ის ახალ სიცოცხლეს შთაბერავს ბეისბოლს და სოფტბოლს საქართველოში. მჯერა, რომ ის უკან არასოდეს დაიხევს, თავისი ხასიათიდან გამომდინარე, და სიტყვას პირნათლად შეასრულებს. ის კი არა, ყური იმასაც მოვკარი, რომ ბეისბოლის სტადიონის აშენებაც არაა გამორიცხული ამ ახლადშექმნილი სპორტული ოპტიმიზმის ფონზე. ასე თუ წავიდა საქმე, შეიძლება, ერთ მშვენიერ დღეს ბეისბოლმა რაგბიზე მეტი სპორტული ჯილდო აჩუქოს ქვეყანას. პოტენცია ნამდვილად არსებობს!

ყრილობას წლიური ანგარიში წარუდგინა ფედერაციის გენერალურმა მდივანმა გიორგი დათუნაშვილმა, რომელშიც აღინიშნა, რომ საქართველოს ბეისბოლის და სოფტბოლის ნაკრებმა გუნდებმა იასპარეზეს ევროპასა და ამერიკაში, და თუ მათ რაიმე წარმატება ხვდათ წილად, ეს მხოლოდ მათი მომზადების, ნიჭისა და ენთუზიაზმის ხარჯზე მოხდა. სახსრების სიმწირე ნამდვილად ახლავს ერის ამ ახალ სპორტულ გატაცებას და სიამოვნებას, მაგრამ ამის გამო გულს არავინ იტეხს - არც თავად ათლეტები და არც მათი მომზადების ოსტატები. ცნობილი მწვრთნელები გია ქემოკლიძე და ნუგზარ კაპანაძე ყოველთვის მომართულნი არიან სულ ახალ-ახალი ბიძგები მისცენ ამ ახალშობილ სპორტს საქართველოში, და ამას აკეთებენ დიდი სიყვარულითა და ნაცადი პროფესიონალიზმით.

სასიხარულოა, რომ ამერიკის ელჩები თბილისში, როგორც წესი, დიდად გულშამატკივრობენ ბესბოლის და სოფტბოლის პოპულარიზაციას საქართველოში. არასოდეს არ აკლდებიან ხოლმე ახლა უკვე ტრადიციად ქცეულ საგაზაფხულო და საშემოდგომო მატჩებს, რომლებიც გაუცდენლად იმართება საქართველოს ნაკრებსა და ამერიკის საზღვაო ფეხოსნების გუნდს შორის.




თბილისის მოსწავლეთა ბეისბოლის ახალგაზრდული ნაკრები აშშ-ის ელჩთან, ბატონ რიჩარდ ნორლანდთან ერთად.

**ვინმემ შეიძლება იკითხოს, რატომ მაინცდამაინც ბეისბოლი და სოფტბოლიო, როცა ამდენი უკვე დამკვიდრებული სპორტი საჭიროებს მოვლა-პატრონობას საქართველოში. კი ბატონო, მაგრამ ბეისბოლი და სოფტბოლიც მაგრად უხდებათ ქართველ გოგო-ბიჭებს და რატომ უნდა ვთქვათ უარი ამ კარგ საქმეზე. ეს სპორტი რომ მოიხდინო, ფიზიკური ძალაც გჭირდება ადამიანს, ნიჭიც, მოქნილობაც, გონიერებაც, და გარდა ამისა, როგორც დათო ხრიკაძემ გაუსვა ხაზი, ბეისბოლი ქართული ბუნების სპორტია. უნდა დაveთანხმო! პატარაობისას, იმერთის ერთ-ერთ სოფელში რომ ვატარებდი ხოლმე არდადეგებს, ბავშვები რიკტაფელას ვთამაშობდით. ასე ერქვა იმ თამაშს! ჯოხი ჯოხზე უნდა შემოგერტყა და გეტყორცნა მოწინააღმდეგისკენ. მას ეს ნასროლი ჯოხი მეორე, უფრო დიდი ჯოხით უნდა მოეგერიებინა და შორს გადაეგდო. შენ კი უნდა მიგესწრო და დაგეჭირა. მეტი მსგავსება რაღა გინდა!**



**ნუგზარ ბ. რუხაძე**

## არჩევანი

# მოჭიდავეებს გეგა გეგეშიძე უთავკაცებს

**საქართველოს ჭიდაობის ეროვნულ ფედერაციას უახლოესი 4 წლის განმავლობაში გეგა გეგეშიძე უხელმძღვანელებს. სასტუმრო „რედისონში" გამართულ საპრეზიდენტო არჩევნებში, რომელიც 8 საათზე მეტხანს გაგრძელდა, ხმის უფლების მქონე 73 დელეგატი შეიკრიბა. მათ არჩევანი სამ კანდიდატს შორის უნდა გაეკეთებინათ.**

ფარული კენჭისყრის შემდეგ გეგეშიძემ 46 ხმა მიიღო, ფედერაციის აწ უკვე ყოფილ პრეზიდენტ მანუჩარ კვირკველიას 24-მა დელეგატმა დაუჭირა მხარი, ხოლო ესტატე გოგლიჩიძეს — მხოლოდ 3-მა.

„გადამწყვეტი მნიშვნელობა არა აქვს, კონკრეტულად რომელმა კანდიდატმა მოიგო. მთავარია, რომ საჭიდაო ოჯახმა გაიმარჯვა. ქართული ჭიდაობის წინსვლისთვის ყველამ ერთად უნდა ვიშრომოთ, აღორძინება კი რეგიონებიდან უნდა დავიწყოთ. სიამოვნებით ვითანამშრომლებ მანუჩარ კვირკველიასთან, თუკი მას ამის სურვილი ექნება" — განაცხადა გეგა გეგეშიძემ.



**კობა კობახიძე**

## ძიუდო

# „ოქროს ლიგა" „საგარეჯოსია"



„საგარეჯო"

**ქართულმა ძიუდომ მორიგი დიდი გამარჯვება იზეიმა — ამჯერად საკლუბო დონეზე: გროზნოში ბარბაროობას გამართული ევროპის საკლუბო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში რვა გუნდი მონაწილეობდა, მათგან სამი — საქართველოდან. რაოდენ საამაყოა, რომ „ოქროს ლიგის" გათამაშების კვარცხლბეკზე ერთბაშად ჩვენი ორი კლუბი ავიდა: „საგარეჯო" ჩემპიონი გახდა, ხოლო „მებრძოლი" მესამე ადგილს დასჯერდა, „შევარდენი 2005-ს" მეშვიდე ადგილი ხვდა.**

„საგარეჯომ" შესანიშნავად იასპარეზა: პირველ წრეში პორტუგალიურ „სპორტინგს" მოუგო, მერე გერმანული „აბენსბერგი" დაჯაბნა — 5:0, ფინალში კი რუსეთის პრეზიდენტის ფავორიტი სანკტ-პეტერბურგული კლუბი „იავარა ნევა" დაძაბულ პაექრობაში 3:2 დაამარცხა. ორთაბრძოლის გმირად მძიმეწონოსანი ლევან მატიაშვილი იქცა — 2:2-ზე გადამწყვეტ პაექრობაში მან ტანმაღალ რენატ საიდოვს აჯობა და ქართულ ძიუდოს მორიგი დაუვიწყარი გამარჯვება მოუტანა. „საგარეჯოს" წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანეს აზერბაიჯანელმა ლეგიონერმა ნიჯატ შიხალიზადემ, ახალგაზრდა ბაგრატ ნინიაშვილმა (ორივე — 66), ევროპისა და ოლიმპიურმა ჩემპიონმა ლაშა შავდათუაშვილმა (73), საბერძნეთის მოქალაქე ქართველმა რომან მასტოპულოსმა (81), ბექა ღვინიაშვილმა (90), ლევან მატიაშვილმა და გუგა კიბორძალიძემ (ორივე — +90).

ბადის მეორე მხარეს მოხვდნენ ქართული კლუბები — ამ ტურნირის შარშანდელი გამარჯვებული და წლევანდელი ერთ-ერთი ფავორიტი „მებრძოლი", ასევე, „შევარდენი". პირველივე წრეში, სამწუხაროდ, ორივემ წააგო: „მებრძოლმა" — ნალჩიკის „გრენ ჰილთან" — 2:3, ხოლო „შევარდენმა" ასეთივე ანგარიშით ნევისპირელებთან დათმო პაექრობა. სანუგეშოში „მებრძოლმა" ჯერ „შევარდენი", შემდეგ „აბენსბერგი" ჩამოიშორა გზიდან (ორივეს 4:1 მოუგო) და „სპორტინგთან" ერთად კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ავიდა.

ტურნირის ყველაზე ტექნიკურ მონაწილედ „საგარეჯოს" წევრი ბექა ღვინიაშვილი (90) დაასახელეს.

**ლექსო ცინცაძე**

## ფალავნობა

# კაციაშვილი პირველი კაცია

**„ახალი თბილისის" ტერიტორიაზე აშენებულ ფრენბურთის ოლიმპიურ სასახლეში საქართველოს ფალავნობა გაიმართა, რომელშიც სხვადასხვა კუთხის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. მთავარ პაექრობამდე ქართული ჭიდაობის ოთხ წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ ჩემპიონები და პრიზიორები. გაუწყებთ მათს ვინაობას:**

80 კგ. 1. გიორგი კაციაშვილი, 2. გიორგი მახარაშვილი, 3. ზვიად კაპანაძე,

90 კგ. 1. გიორგი პაპუნაშვილი, 2. პაატა ღვინიაშვილი, 3. ნიკა სიდამონიძე.

100 კგ. 1. ლაშა ტაველური, 2. გიორგი კობაიძე, 3. სოსო იარაჯული,

+100 კგ. 1. ონისე ბულაძე, 2. უშანგი კოკაური, 3. დავით რაზმაძე.

ისინი, შესაბამისად, 3 ათასი, 2 ათასი და ათასი ლარით დაჯილდოვდნენ. წონების მიხედვით ფინალისტებმა აბსოლუტური ფალავნობისთვის ბრძოლის გაგრძელების უფლებაც მოიპოვეს. ონისე ბულაძემ საქართველოს ორგზის (2013 და 2015 წ.წ.) ფალავანი პაატა ღვინიაშვილი დაძაბულ ბრძოლაში 4:3 დაამარცხა, გიორგი პაპუნაშვილი უშანგი კოკაურთან შეხვედრაზე არ გამოცხადდა, ლაშა ტაველურმა წმინდად მოუგო გიორგი მახარაშვილს, ხოლო გიორგი კაციაშვილმა, ასევე, წმინდად სძლია გიორგი კობაიძეს.



გიორგი კაციაშვილი

ნახევარფინალში ბულაძემ კოკაურს აჯობა, ხოლო კაციაშვილმა ტაველურთანაც წმინდად გაიმარჯვა. მთავარი სენსაცია კი ფინალში მოხდა — 20 წლის შიდაქართლელმა ძიუდოისტმა კაციაშვილმა 40 კილოგრამით მასზე მძიმე ბულაძე დაამარცხა და 2016 წლის საქართველოს ფალავნობა მოიპოვა. მესამე ადგილზე კოკაური გავიდა, რომელსაც ამჯერად ტაველური არ გამოუცხადდა. შეჯიბრების გამარჯვებულმა ფალავნისთვის დაწესებული ჯილდო — თბილისში ბინა დაიმსახურა, ბულაძეს 10 ათასი, კოკაურს კი 5 ათასი ლარი ერგო.



შოთა ზუკაკიშვილი

ფალავნობა დაგვირგვინდა შეჯიბრების საუკეთესო არბიტრის ოთარ ყურაშვილის დაჯილდოებით ქართული ჭიდაობისა და სამბოს ლეგენდარული მსაჯის შოთა ზუკაკიშვილის სახელობის თასითა და ფულადი პრიზით, რომელიც ო. ყურაშვილს შ. ზუკაკიშვილის ვაჟმა იოსებ ზუკაკიშვილმა გადასცა.

**ლაშა დიდია**

## ჭადრაკი

# მეორე ადგილს დასჯერდა

**სამი ქართველი დიდოსტატი მონაწილეობდა მალაიზიაში შვეიცარიული სისტემით გამართულ მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირში.** შეჯიბრების ცხრა ტურის შემდეგ 7 ქულით მთავარი პრიზი ჩინელმა ვან ჰაომ მოიპოვა. მას ნახევარი ქულით ჩამორჩა ლევან ფანცულაია, რომელსაც მე-2 ადგილი ერგო. 6-6 ქულით მესამე-მეხუთე ადგილები ვლადისლავ კოვალიოვმა, ანტონ დემჩენკომ და მერაბ გაგუნაშვილმა გაინაწილეს. მიხეილ მჭედლიშვილს 5.5 ქულით მერვე ადგილი ხვდა.

**გივი გაგუა**



ლევან ფანცულაია

## მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი

# „რეალისა" და რონალდუს ბენეფისი

**● მადრიდის „რეალმა" მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი მეორედ მოიგო. მეტი ტიტული მხოლოდ „ბარსელონას" აქვს — 3.**

**● ეს მადრიდელთა 21-ე საერთაშორისო საკლუბო ტიტულია. ამით „რეალმა" „ბარსელონასა" და ეგვიპტურ „ალ აჰლის" (20-20 ტიტული) გადაასწრო.**

**● კრიშტიანუ რონალდუმ ლეო მესის გაუსწრო საერთაშორისო საკლუბო ტურნირებზე გატანილი გოლების რაოდენობით.**

**● რონალდუ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს.**

**● მესამე ადგილი კოლუმბიურმა „ატლეტიკო ნასიონალმა" დაიკავა.**

კრიშტიანუ რონალდუმ ჰეთ თრიქი შეასრულა, ხოლო „რეალმა" საკლუბო ტიტულების რეკორდი დაამყარა. თუმცა, მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონობა „სამეფო კლუბს" იოლად არ მოუგია.

იაპონიის ქალაქ იოკოჰამას „ნისან სტედიუმზე" 70 ათასამდე ადამიანმა საკმაოდ დაძაბული ორთაბრძოლა იხილა. ყოჩაღ „კაშიმა ანთლერსს", რომელმაც ბოლომდე ვაჟკაცურად იბრძოლა. მეტიც — მე-60 წუთამდე მასპინძლები წინაც იყვნენ...

კრიშტიანუმ ამ ჰეთ თრიქ საერთაშორისო საკლუბო ტურნირების გოლების რეკორდი დაამყარა. მან უკვე 103 გოლი გაიტანა და ამ მაჩვენებლით „ბარსელონას" არგენტინელ ფორვარდ ლიონელ მესის გაუსწრო. რონალდუს ჩემპიონთა ლიგაზე 96 გოლი აქვს გატანილი, 5 მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატებზე და 2 ევროპის სუპერთასზე. მესის 93 გოლი აქვს გატანილი ჩემპიონთა ლიგაზე, 5 მსოფლიოს საკლუბო პირველობებზე და 3 ევროპის სუპერთასზე — სულ 101..

კრიშტიანუ მსოფლიოს საკლუბო პირველობის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს. მოკლედ, 31 წლის პორტუგალიელმა ინდივიდუალურ ტიტულთა კოლექციას კიდევ ერთი შემატა — „ოქროს ბურთის" მოგებიდან რამდენიმე დღეში მსოფლიოს საკლუბო პირველობის საუკეთესო ფეხბურთელის „ოქროს ბურთიც" მიიღო. მან ამ ტურნირის ორ შეხვედრაში 4 გოლი გაიტანა.




„ვერცხლის ბურთი" ლუკა მოდრიჩმა მიიღო, ხოლო გაკუ შიბასაკიმ — „ბრინჯაოს ბურთი".

მართალია, „რეალისთვის" ეს მეორე ტიტულია მსოფლიოს საკლუბო პირველობაზე, მაგრამ კრიშტიანუსთვის უკვე მესამე გამარჯვებაა. მან 2008 წელს ტიტული „მანჩესტერის" შემადგენლობაში მოიგო, 2014-ში კი — „რეალის" რიგებში.

**გიორგი შოთაძე**

## ხელბურთი

# ნორვეგია — მეშვიდედ

**ევროპის ქალთა ჩემპიონატის ფინალში ნორვეგიამ 30:29 დაამარცხა ჰოლანდია და მეთორმეტე გათამაშებაში მეშვიდე ტიტული მოიპოვა. მესამე ადგილისთვის საფრანგეთმა დანიას მოუგო —25:22.**



ფინალამდე გამოქვეყნდა ტურნირის ლაურეატების სია, სადაც ევროპის ჩემპიონატის საუკეთესო მოთამაშედ დასახელდა ჰოლანდიის ნაკრების გამთამაშებელი ნიკე ხროტი. დასაწყისი სწორედ მისი იყო — ხროტმა თავიდანვე დაალაგა თამაში, გაიტანა პირველი გოლი, შეასრულა 4 საგოლე გადაცემა და მე-20 წუთისთვის ჰოლანდიის უპირატესობა საკმაოდ სოლიდური იყო — 13:9. თუმცა, ეს იყო და ეს...

ზუსტად ერთ წელიწადში ნორვეგიამ ზედიზედ მეორე ფინალი მოუგო ჰოლანდიას (31:22, 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე), ნორა მორკს კი ტურნირის საუკეთესო ბომბარდირისა (53 გოლი) და საუკეთესო მარჯვენა ინსაიდის პრიზი ერგო.

**ვიტალი ჯაფარიძე**

ფარმაცევტული ბაზარი

# ვინ მიხედავს აფთიაქებს?

## ხელისუფლება ლოდინის პოზიციაზეა

**Transparency 6nternational-ის საქართველოს წარმომადგენლობამ გასული ოთხი წლის განმავლობაში ქართული ფარმაცევტული ბაზრის მდგომარეობის შესახებ ანგარიში წარმოადგინა. ძირითად პრობლემად მედიკამენტების მდგომარეობაზე სახელმწიფო კონტროლის ფაქტობრივი არარსებობა რჩება.**

პროექტის ავტორ **ნუცა თოხაძის** განცხადებით, ფარმაცევტული ბაზრის 70% კვლავინდებურად მონოპოლიზებულია რამდენიმე ფირმის მიერ. ამავე დროს, მომხსენებლის ინფორმაციით, სახელმწიფომ ამ დრომდე ვერ გამონახა საშუალებები ფარმაცევტული პროდუქციის ხარისხის ქმედითი კონტროლისთვის:

„ამ დროისთვის ბაზარზე დაახლოებით 11 ათასი დასახელების მედიკამენტია დაშვებული, მათგან დაახლოებით 12% ადგილობრივი წარმოების პროდუქციაზე მოდის. მედიკამენტების ხარისხი ერთ-ერთ ყველაზე მტკივნეულ საკითხად რჩება, ვინაიდან ხელისუფლების არერთგზის დაპირების მიუხედავად, ქმედითი კონტროლი ამ დრომდე არ არის. ქვეყანაში ამ დრომდე არ დანერგილა ხარისხის საერთაშორისო სტანდარტი GMP, რომელიც საერთაშორისო ინსპექტირების გზით პროდუქტის ხარისხის კონტროლის შესაძლებლობას იძლევა. ხელისუფლების დაპირების მიუხედავად, ეს ნორმა წელს დაენერგა, მისი შემოღება 2018 წლისთვის გადაიდო. თანაც უკვე მეორედ (პირველად ეს 2014 წელს მოხდა) და არ არსებობს არანაირი გარანტია იმისა, რომ პრობლემის გადაჭრა სამომავლოდაც არ გადაიდება“.

Transparency International-ის კვლევის თანახმად, 2014 წელს ფარმაცევტული ბაზრის საერთო ბრუნვამ 2 მლრდ ლარს მიაღწია, ხოლო საერთო შემოსავალმა ამ სფეროში 190 მლნ ლარს გადააჭარბა. ფორმალურად, პროდუქციის ხარისხზე კონტროლი სამედიცინო საქმიანობის კონტროლის სააგენტოს აკისრია, თუმცა მწირი დაფინანსების გამო მას ქმედითი ზედამხედველობის განხორციელება არ ძალუძს.



სპეციალისტები მოხსენების ავტორების განცხადებებს ეთანხმებიან. სამედიცინო სფეროს ექსპერტ **სერგო ჩიხლაძის** განცხადებით, ხელისუფლებამ ლოდინის პოზიცია დაიკავა, რადგან კონტროლის მექანიზმებმა შესაძლოა, მედიკამენტების გაძვირება გამოიწვიოს:

„ხარისხის საერთაშორისო სტანდარტებს შეუძლია, ხარისხის კონტროლი მოაწესრიგოს, თუმცა ხელისუფლება თემას უყრუებს, რადგან ასეთ შემთხვევაში მედიკამენტებზე ფასები გაიზრდება. მიუხედავად ამისა, ხელისუფლება იძულებული იქნება, ეს ნაბიჯი გადადგას, თუ სურს, ბაზარზე არსებული უწესრიგობა აღმოფხვრას. ზემოაღნიშნული სააგენტოს გარდა, არსებობს წამლის ხარისხის კონტროლის უწყება, თუმცა აქაც პროცესი, ფაქტობრივად, თვითდინებაზეა მიშვებული. რჩება მხოლოდ კომპანიების კეთილსინდისიერების იმედი, თუმცა როგორც ბოლოდროინდელმა მოვლენებმა გვიჩვენა, წამლების უმრავლესობას სამკურნალო ეფექტი არ გააჩნია. მსგავს ვითარებაში ზეშემოსავლების ძიებაში კომპანიები მშვიდად ეზიდებიან ფულს მოქალაქეთა ჯიბეებიდან, სარგებლობენ რა ბაზარზე ფაქტობრივად მონოპოლიური მდგომარეობით“.

პრეზენტაციის დროს წამოჭრილ კიდევ ერთ აქტუალურ თემას მკურნალობის პროცესში პაციენტებისთვის გაუმართლებლად დიდი რაოდენობის მედიკამენტების თავს მოხვევა წარმოადგენს, რაც ხშირად უარყოფითად აისახება მოქალაქეების ჯანმრთელობის მდგომარეობაზე.

სერგო ჩიხლაძის თქმით, ეს პრობლემა მჭიდრო კავშირშია ბაზარზე არსებულ მანკიერ პრაქტიკასთან:

„ფარმაცევტული კომპანიები, რომელთაც სააფთიაქო ქსელები ეკუთვნით და უმრავლეს შემთხვევაში კლინიკების ქსელს ფლობენ, ბუკვალურად თავს ახვევენ პაციენტებს საკუთარ მედიკამენტებს. გავრცელებულ პრაქტიკას წარმოადგენს ასევე უკონტროლობა თავად აფთიაქების მხრიდან, რომლებიც ქსელში ამა თუ იმ პრეპარატის არქონის მოტივით აბნევენ მყიდველს და თავს ახვევენ საეჭვო ხარისხის ძვირადღირებულ ანალოგებს“.

ამ სიტუაციაში, კვლევის ავტორების განცხადებით, თავისი სიტყვა უნდა თქვას კონკურენციის სააგენტომ, რომლის მოვალეობაშიც ბაზრის მონოპოლიზების არდაშვება შედის.

**„ეხო კავკაზა“**

# ნიორი კიბოსა და ინფექციების წინააღმდეგ

**ნიორი ითვლება ერთ-ერთ ყველაზე სასარგებლო ბოსტნეულად. მას იყენებდა თვით ჰიპოკრატე სხვადასხვა დაავადებების დროს. ნიორი კურნავს კანდიდას, ვირუსულ ინფექციებს, ქოლერას, ვირუსულ ციტომამეგალიებს, ოქროსფერ სტაფილოკოკს, მიკრობაქტერიულ ტუბერკულიოზს, B ჯგუფის სტრეპტოკოკს.**



გამოკვლევებმა აჩვენა, რომ ის ებრძვის ზოგიერთი ტიპის კიბოს. ამიტომ ჩვენ რეკომენდაციას გიწევთ, მიიღოთ დღეში 5-6 კბილი ნიორი. საუკეთესო შედეგის მისაღებად დაჭყლიტეთ ნიორი და დატოვეთ 15 წუთით, რომ გამოიყოს allinase ფერმენტი, ეს ებრძვის სოკოს და კიბოს უჯრედებს. გამოიყენეთ იგი უმად ან დაამატეთ საკვებში.

ნაციონალური მედიცინის ბიბლიოთეკის მონაცემებით, სწორედ ნიორს შეუძლია დიდი დახმარების გაწევა 150-ზე მეტ დაავადებასთან საბრძოლველად. ნიორი აუცილებლად უნდა დაამატოთ კვების ყოველდღიურ რაციონში. იგი შესამჩნევად გემრიელს ხდის სადილს და განსაკუთრებული მნიშვნეობა აქვს ჯანმრთელობისთვის.

**მოამზადა**
**ირინა ტატიშვილმა**

## განცხადება

2017 წლის 9 თებერვალს, 14 საათზე, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში (მისამართი: წალენჯიხა, კ. სალიას ქუჩა №5) გაიმართება წალენჯიხის მუნიციპალიტეტის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების (გზშ) ანგარიშის წინასწარი საჯარო განხილვა.:

საქმიანობა ითვალისწინებს ორსაფეხურიანი ჰესების კასკადის მშენებლობას და ექსპლუატაციას.

- პაატა ფხალაძე, ტელ: 571 04 54 70;
- ჯულული ახვლედიანი ტელ: 595 59 52 55.

**შპს „ჰიდრო დეველოპმენტ კომპანი“-ს ადმინისტრაცია**

## ტელეფონების ნომრები, რომლებიც, საგანგებო ვითარებაში, შეიძლება, თითოეულ ჩვენგანს დასჭირდეს:

- სასწრაფო სამედიცინო დახმარება – 112,
- საპატრულო პოლიცია –112;
- სახანძრო-სამაშველო სამსახური – 01; 011; 275-20-85; 241-17-17; 241-17-72;
- დაცვის პოლიცია: 125;
- გენერალური ინსპექცია – 126;
- ცნობათა ბიურო – 118 -08
- დედაქალაქის მერიის ცხელი ხაზი – 272-22-22;
- ჯანდაცვის სამინისტროს ცხელი ხაზი – 294-49-11; 294- 34-98;
- სახალხო დამცველის აპარატი – 299-58-98; 292-24-79;
- ადამიანის უფლებათა დაცვის ცენტრი – 237-69-50; 245-45-33;
- ბავშვის უფლებათა საქალაქო ცენტრი – 299-66-04;
- ამინდის ბიურო – 243-95-31; 245-95-39;
- ყაზტრანსგაზის საინფორმაციო სამსახური – 231-04-04;
- გაზის საავარიო – 04; 274-86-27; 274-89-04;
- თელასის საინფორმაციო ცენტრი – 27-52; 225-52-11;
- თელასის ცხელი ხაზი – 277-99-99; 227-44-11;
- წყალკანალის ცხელი ხაზი – 293-11-11,
- წყალკანალის ექსპლუატაციის სამსახური – 248-72-88;
- კანალიზაციის საავარიო სამსახურის ცხელი ხაზი – 293-11-11;
- აეროპორტის საინფორმაციო ბიურო – 231-04-21;
- რკინიგზის სადგური – 256-35-66; 256-47-60;
- დიდუბის ავტოსადგური „ოკრიბა“ – 234-26-92;
- ნავთლუღის ავტოსადგური – 274-83-03; 274-63-23.










# არის თუ არა სიცოცხლე... მაცივარში?

**უკლებლივ ყველა დიასახლისისთვის უაღრესად აქტუალურია კითხვა: რა და როგორ უნდა შევინახოთ მაცივარში, რომ სურსათი რაც შეიძლება დიდ ხანს არ გაფუჭდეს?**

### განთავსება

დაიმახსოვრეთ: უმი სურსათი (ხორცი, ფრინველი, თევზი) მომზადებულზე მაღლა ან მის გვერდით არ უნდა დადოთ, განსაკუთრებით კი მაშინ, როცა კერძი საკვების აპკშია გახვეული. საქმე ისაა, რომ უმი სურსათიდან კერძში მოხვედრილი ერთი წვეთიც საკმარისია საჭმელში ინფექციის მოსახვედრად.

ასევე არასასურველია ჭარხლის, სტაფილოსა და მსგავსი ძირნაყოფების ხილთან და სხვა ბოსტნეულთან ერთად შენახვა, რომელიც თერმული დამუშავების გარეშე მოიხმარება.

### ტემპერატურა

მაცივრულ საკანში ტემპერატურა სასურველია არა უმაღლეს +4 გრადუსისა იყოს +8-12 გრადუსის ნაცვლად (რაც მაცივრების ძველი მოდელებისთვისაა დამახასიათებელი, რომლებშიც დაგროვილი ყინულის გალღვობას საჭიროებენ) შესაძლოა, მავნე ბაქტერიების, მათ შორის განსაკუთრებით საშიში ლისტერიების გამრავლება.

### შეფუთვა

მალფუჭებადი სურსათი, განსაკუთრებით ისეთი, რომელსაც მაღალი ტენიანობა აქვს (მაგალითად, ხაჭო, მზა მეორე კერძები) საჭიროა პლასტიკის, მომინანქრებულ ან შუშის კონტეინერში, ანდა ხუფიან ქილაში მოთავსდეს.

ძეხვი და ყველი საჭიროა პერგამენტით ან ფოლგით შეფუთოთ.



რბილი პარკიდან პასტერიზებული რძე უმჯობესია, ხუფიან ქილაში გადაასხათ.

ბოსტნეულისა და ხილის შენახვა პარკშიც შეიძლება, ოღონდ პირმოუკრავში.

### რევიზია

რეგულარულად მოიშორეთ ვადაგასული ან გაფუჭებული სურსათი, რათა მან ვარგისი საკვები არ გაგიფუჭოთ.

### დამუშავება

მაშინაც კი, როცა მაცივარი ყინულის მოცილებას არ საჭიროებს, საჭიროა რეგულარულად მისი მარილისა და ძმრის სუსტი ხსნარებით გარეცხვა.

# იანვრიდან თბილისს 15 ახალი ავტობუსი შეემატება

თბილისის მერმა დავით ნარმანიამ 15 ახალი ავტობუსის წარდგინება გამართა. როგორც დავით ნარმანიამ მედიასთან საუბარში განაცხადა, ახალი ავტობუსები პირველი იანვრიდან იმოძრავებენ.

**„ჩამოვიდა ახალი ავტობუსების მორიგი პარტია, რომელიც პირველი იანვრიდან ივლის 51 მარშრუტზე. მანამდე დამონტაჟდება გადახდის სისტემა, ტაბლო და ავტობუსები იქნება აღჭურვილი თავიდან ბოლომდე იმისთვის, რომ კომფორტულად მოვემსახუროთ ჩვენს თანამოქალაქეებს. ეს არის შემდგომი პარტია, რომელიც იანვარში უნდა მიგვეღო, თუმცა მომწოდებელმა კომპანიამ ჩვენი თხოვნა გაითვალისწინა და დააჩქარა მოწოდების პროცესი. ასევე, შედარებით ადრე იქნება მიღებული მომდევნო ავტობუსებიც. კომპანია ითვალისწინებს ჩვენს ბაზაზე არსებულ მდგომარეობას და დროულად გვაწვდის ავტობუსებს“,** — თქვა დავით ნარმანიამ.



## ⊙ ინტერნეტიდან

# ევა გრინს ჰოკეი იზიდავს



**ლამაზთა შორის ულამაზესი და ნარნართა შორის უნარნარესი ცნობილი ამერიკელი მსახიობი ევა გრინი დღეს როგორც იტყვიან წარმატების მწვერვალზე და ერთბაშად იმდენ ფილმზე და როლზეა დამტკიცებული, სხვა ადამიანს მის ადგილზე ალბათ სათვალავიც კი აერეოდა.**

ევა მიუხედავად იმისა, რომ ბავშვობიდან იანკთა მიწას ამშვენებს, არაფრით ივიწყებს თავის სკანდინავიურ ფესვებს და ეს იმაშიც გამოიხატება, რომ ეს ქალბატონი ჰოკეის თავგადაკლული გულშემატკივარია და როდესაც თავისუფალი დრო აქვს, ყინულის დარბაზში ხშირად დალანდავთ ხოლმე.

უცნაურობა ისაა, რომ ევა გრინს გამორჩეულად საყვარელი საგულშემატკივრო კლუბი არ ჰყოლია და მისთვის ჰოკეი პირველყოვლისა, ლამაზი სანახაობაა. ევა დიდად არ დაგიდევთ ჩემპიონებსა და ვიცე-ჩემპიონებს და, როგორც თავად იძახის, მისთვის უმთავრესი სპორტის ამ სახეობის ე.წ. ექშენი და ინტრიგაა.

**როსტომ რაჭველიშვილი**

# ულვაშა თერაპევტები



**ძველთაძველი გადმოცემებით, ადამიანის მიერ მოშინაურებულ ცხოველთა მწკრივში კატა ბოლო იყო, ამიტომაც იქნებ სწორედ ესაა იმის მიზეზი, რომ თავნებობით და შეუდარებელი ინდივიდუალობით იგი სხვა დანარჩენებისგან ასე განსხვავებულია.**

თუმცა კი ისიცაა, რომ ამის გამო ჩვენ ეს ულამაზესი ცხოველები ნაკლებად სულაც არ გვიყვარს და ისინიც ამითვე გვპასუხობენ, თანაც, როგორც ირკვევა, მათ დიდი სარგებელი.... ჩვენი ჯანმრელობისთვისაც მოაქვთ.

# სიცივეში გვათბობენ

**თუკი ბუნებით მცივანა ხართ, იყოლიეთ სფინქსის ჯიშის კატა. საქმე ისაა, რომ ამ უბეწვო კატას თავის პატრონის გათბობა ნებისმიერ ამინდში შეუძლია, რადგან მისი სხეულის ტემპერატურა... 42 გრადუსია!**

იმის გამო კი, რომ სფინქსებს ბეწვი საერთოდ არა აქვთ, ისინი ალერგიული ადამიანებისთვის, რომ იტყვიან, მისწრებაა.



## ⊙ანეკდოტები

**— რატომ ჩაიცვი მთაში ლაშქრობისას მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, ვერ ხედავ, რომ ვერ დადიხარ?! — გაღიზიანებით ეკითხება ახალგაცნობილ ქერათმიან ქალიშვილს.**

**— მე მეგონა, რომ შენ მაღალი ქალიშვილები მოგწონდა! — განაწყენებული პასუხობს გოგონა.**

**— არა, ჩემო კარგო, მე ჭკვიანები მომწონს! — ცხარობს ჭაბუკი.**

**— ჰოდა, აბა, შემომხედე, სათვალეც მაგიტომ გავიკეთე! — უხარია ქალიშვილს.**



* * *

**სასაქონლო ბაზრობაზე:**

**— აი, იმ ვედროში რა სუნამო გაქვთ?**

**— ეს სიახლეა, სუნამო, „შინელი №3.“**

**— რა უცნაური სახელწოდებაა!**

**არაფერი უცნაური არ არის, ლამაზო! „შინელი“ იმას ნიშნავს, რომ ეს სუნამო სამხედრო მოსამსახურეთა მეუღლეებზეა გათვლილი, „№3“ კი იმას გვეუბნება, რომ ის სამჯერად მოხმარებაზეა გათვლილი.**

* * *

**— გამაგებინე ერთი, თუ კაცი ხარ, შენი ძველი ნაცნობი ყოფილა, მაინც რა ტიპია ეს ჩვენი ახალი თანამშრომელი?**

**— აბა, რა გითხრა, ძმაო, დიდი დახასიათებების ოსტატი არა ვარ, მაგრამ, რაც მაგას ვიცნობ, იმ კატეგორიის კაცია, როიალი რომაა გადასატანი და პირველი მბრუნავ სკამს რომ წამოავლებს ხელს!**

* * *

**— მოშელეს დავენაცვლე, ერთი მითხარი, ღარიბი ნათესავები თუ გყავს?**

**— მე ასეთების შესახებ არაფერი ვიცი?**

**— და მდიდრები თუ გყავს, შეძლებულები, ჰა?**

**— სამწუხაროდ, ასეთებმა ჩემს შესახებ არ იციან არაფერი.**


## განცხადება

იყიდება დიდი დიღმის პირველ მიკრორაიონში, კლინიკა „იმედიდან“ ორასიოდე მეტრში მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალური გალავნით არის შემოღობილი და სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგავითაა გაშენიანებული. ყველა კომუნიკაცია (გაზი, დენი, კანალიზაცია) ჭიშკართანაა მიყვანილი, წყალი კი შეყვანილია. ნაკვეთის ფართობია 1250 კვ. მეტრი. შეიძლება ნახევრის ყიდვაც. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 598 51 81 35; 599 16 81 71; 599 11 19 11.

იყიდება უშუალოდ კურორტ „საირმის“ ტერიტორიაზე, სამკურნალო წყლებიდან რამდენიმე ათეული მეტრის დაშორებით მდებარე 2433 კვ. მეტრი საუკეთესო მიწის ნაკვეთი. ფასი — შეთანხმებით. ტელ.: 599 36 00 35; 599 17 21 21; 599 79 76 79.


# გვიცავენ ინფარქტისაგან

**განსაკუთრებით რეკომენდებულია კატის ყოლა გულით დაავადებული ძლიერი სქესის წარმომადგენლებისთვის. ამერიკელი მეცნიერები აცხადებენ, რომ ოჯახში კატის ყოლას ძლიერი სქესის წარმომადგენლებში ინსულტებისა და ინფარქტების წარმოშობის ალბათობას 20 პროცენტით ამცირებს — ამის საფუძველს მათ 40-დან 80 წლამდე ასაკის ათი ათასი კაცის გამოკვლევის შედეგები იძლევა. 85 წელს მიღწეულ მამაკაცთა 70 პროცენტს სახლში კატა ჰყავდა.**

ბიოლოგების თქმით, ყველაფერი დადებითი ემოციებითაა განპირობებული, რომლებსაც ადამიანები კატებთან ურთიერთობისას განიცდიან. თუმცა ისიცაა, რომ ქალებზე კატები შედარებით ნაკლებად მოქმედებენ. სპეციალისტების აზრით, საქმე იმაშია, რომ ქალები უფრო ხშირად განიმუხტებიან უარყოფითი ემოციებისგან, ამიტომაც „ულვაშა თერაპევტების“ დახმარებას ნაკლებად საჭიროებენ. თუმცა თავად ქალბატონები ამ აზრს არ ეთანხმებიან: სტატისტიკით, მანდილოსანთა 53 პროცენტს კატა სხვა შინაურ ცხოველებს ურჩევნია, მამაკაცებში კი ეს მაჩვენებელი მხოლოდ 40 პროცენტს შეადგენს.


საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

სულხან-საბას ქ. №3

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
293-13-34
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;
რუსლან რუსია
599 17-21-21;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323
ISSN 2233-3851
9 772233 385001



ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!


**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.6837; ევრო - 2.8050;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.3401;
100 რუბლი - 4.3516; თურქული ლირა - 0.7681;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5032;
1000 სომხური დრამი - 5.5586.

**ამინდი 20 დეკემბრისთვის**

**აღმოსავლეთი საქართველო:**

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -8 | დღე +3 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -18 | დღე 0 |

**დასავლეთი საქართველო:**

| | | |
|---|---|---|
| ბარი - | ღამე -3 | დღე +5 |
| მთიანი რაიონები - | ღამე -10 | დღე 0 |
| თბილისი: | ღამე -6 | დღე +2 |


დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 293-13-34, 599-79-76-79
WWW.SAKRESP.GE